ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

პარასკევი, 10 აპრილი, 2020 | №84 (8348) | ფასი: 60 თეთრი

## „ექიმმა ქალს წელსზევით გაშიშვლება მოსთხოვა და მაგიდაზე დააწვინა“

რა მოხდა მარნეულის საკარანტინე ზონაში



გვ.5

# „ხელისუფლებამ მოსახლეობას ფული უნდა დაურიგოს“



გვ.3

ლევან ხაბეიშვილი: „ხალხმა ყველა რეგულაცია შეასრულა, მთავრობა კი არაფერს აკეთებს“

## დავით ბერძენიშვილი: „ივანიშვილმა ხალხისთვის დასაბრუნებელი ვალის ნაწილი დააბრუნა“



გვ.2

## ივანიშვილმა ახლა დახარჯა 100 მილიონი, მაგრამ რამდენს წაიღებს მისი მთავრობა უკან?!

ლაშა ჩხარტიშვილი: „თუ ხალხის ფულს არ მოიპარავენ, არავის სამათხოვრო არაფერი გვჭირს“



გვ.2



გვ.3

## ბიძინა გუჯაბიძე: „კორონავირუსის შემდეგ პოლიტიკაში აგრესია ჩაცხრება“

„მთავრობამ ანტიკრიზისული გეგმის შემუშავებაში მაღალი კლასის პროფესიონალები უნდა ჩართოს“

## თენგიზ დიხამინჯია: „უზენაესი საბჭო არის სახელმწიფოებრიობის დამფუძნებელი“



გვ.4



გვ.5

## შინაგან საქმეთა მინისტრმა, პრემიერ-მინისტრთან ერთად 112-ის და 144 -ის ცენტრი დაათვალიერა



## 9 აპრილიდან „ნოვიჩოკამდე“

გვ.4

ISSN 1987-9385

**2** სალომე ზურაბიშვილი: „წელს აღდგომის წირვაზე ვერ მივალ, რადგან კანონს ვერ დავარღვევ“

**2** ივანიშვილმა კოვიდ 19-ის დასამარცხებლად 100 მილიონი გადარიცხა

**5** გურამ ღონაძემ და ზურაბ მიქაძემ ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ მისცეს ჩვენება

**6** პრემიერი კონტე: „აპრილის ბოლოს იტალია კარანტინს შეარბილებს“

# დავით ბერძენიშვილი: „ივანიშვილმა ხალხისთვის დასაბრუნებელი ვალის ნაწილი დააბრუნა“

იაგო ნაცვლიშვილი



საქართველოში კორონავირუსის წინააღმდეგ შექმნილ ფონდს ბიძინა ივანიშვილმა 100 მილიონი ლარი შესწირა. დიდი ხნით გაუჩინარებულმა ივანიშვილმა საზოგადოებას თავი ამით შეახსენა. „ოცნების“ ლიდერები კი ერთმანეთის მიყოლებით ივანიშვილის ღვაწლზე ალაპარაკდნენ. სოფო კილაძე კი იმასაც ელოდება, რომელი პოლიტიკოსი, მედია თუ არასამთავრობო ორგანიზაცია დაუკავშირებს ამას საპარლამენტო არჩევნებს.

უნდა გავიგოთ ეს წმინდა ქველმოქმედებად თუ ეს არჩევნების კონტექსტშიც უნდა განვიხილოთ? – ამ და სხვა საინტერესო საკითხების შესახებ „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი **დავით ბერძენიშვილი** საუბრობს.

***– ცნობილი გახდა ბიძინა ივანიშვილის ქველმოქმედების შესახებ, რომელზეც დიდი ხანი არაფერი არ ვიცოდით. ეს ქველმოქმედებად უნდა გავიგოთ თუ აქ თქვენ დაინახეთ არჩევნების კონტექსტი?***

– ერთი მხრივ, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. ამდენი ხანი, როცა ქვეყანაში ტესტების პრობლემა იყო და ახლა ვერავინ ვერ იდავებს და ამაზე არავინ აღარ დავობს სახელისუფლებო მხარე, რომ ვისაც უფრო მეტი ტესტი ჰქონდა გაკეთებული, უკეთესია. მე არ ვსაუბრობ ძალიან დიდ და განვითარებულ ქვეყნებზე. მე ვადარებ, მაგალითად, ესტონეთს, სადაც 24.000 ტესტი ჩატარდა, მაშინ როდესაც, საქართველოში 3.000-მდე ჩატარებული პი-სი-არ ტესტია. ამიტომ გასაგებია, რომ ერთგვარად ფინანსების პრობლემაც იყო.

ის, რომ დღეში სამი რეისი უნდა გაკეთებულიყო ჩვენი მოქალაქეების ჩამოსაყვანად და სამ დღეში ერთი რეისი ხორციელდება, ესეც იმის დამადასტურებელია, რომ გარდა იმისა, რომ კარანტინით არ იყვნენ მზად, ფინანსური პრობლემაც ჰქონდათ. კარანტინისთვისაც იმიტომ არ იყვნენ მზად ხელისუფალნი, რომ შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფა აკლდა. ასე რომ, ეს თანხები მენეჯმენტურადაც ადრე გამოყენებული რომ ყოფილიყო, თებერვლის ბოლოდან ან მარტის პირველი ნახევრიდან, უკეთესი იქნებოდა.

ერთი მხრივ, ეს საკმაოდ დიდი ფული, 30-33 მილიონი დოლარია, მაგრამ ამ ოდენობის ფულს ერთი დღის განმავლობაში ხან იგებს და ხან აგებს.

ჩემი მთავარი სათქმელი ის არის, რომ ერთი მხრივ, ეს ფინანსები კარგია, თუმცა დაგვიანებული, ადრე სჯობდა და მეორე მხრივ, ჩემთვის არსებითია ის, რომ ივანიშვილი მსოფლიოში ერთადერთი ხელისუფალია, მით უმეტეს, ერთმმართველი, რომელიც სრულად აკონტროლებს პოლიტიკის ყველა შტოს, ეკონომიკას, მედიის დიდ ნაწილს და ა. შ. და ის არის თავის ოჯახთან ერთად დამალული და ჩაკეტილი.

ბორის ჯონსონი რეანიმაციაში აღმოჩნდა. ძალიან ბევრი ქვეყნის მთავრობის ბევრი წევრი ფრონტის წინა ხაზზეა, ზოგი ინფიცირებულია და ზოგს ინფიცირების საფრთხე აქვს, სიცოცხლის საფრთხე აქვთ. ასეთ დროს ქვეყნის ხელისუფალი რომ დამალულია, ხალხს არ ენახვება და მარტო საკუთარ ოჯახზე ზრუნავს, ეს ქვეყნის სირცხვილია. კრიტიკულ ვითარებაში ქვეყანა რომ ასეთ მდგომარეობაშია, ეს ნიშნავს, რომ ჩვენ აღარ დაგვჭირდება ისეთი ხელისუფალი, რომელმაც ზურგი აქცია ჩვენს ქვეყანას და საზოგადოებას.

მეორე საკითხია ის, რომ ერთადერთი ადამიანი საქართველოში, ვისაც აქვს რეალური გავლენა ილია მეორეზე და მის ადმინისტრაციაზე, ეს არის ბიძინა ივანიშვილი. მას გამოუყენებია ეს გავლენა, როცა თავად სჭირდება. ამიტომ, ეს თანხა საარჩევნო ამბავსაც უკავშირდება, მაგრამ საარჩევნო ამბავი ივანიშვილისთვის არის ყოფნა-არყოფნის საკითხი. ამიტომ, მე მარტო არჩევნებზე ლაპარაკით არ დავწვრილმანდები. ბიძინა ივანიშვილი ან არის საქართველოს ხელისუფალი, ან საქართველოში არ არის, ან საქართველოში თავისუფლად არ არის.

ამიტომ, ასეთ ვითარებაში ის საკუთარ ყოფნა-არყოფნის წინაშე დგას და ამაზე ზრუნავს. როდესაც ის საპატრიარქოს აძლევს საშუალებას, რომ ასეთი საფრთხის წინაშე დააყენოს ხალხი, ეს ადასტურებს იმას, რომ ილია მეორისაც კი შეეშინდა.

***– საარჩევნო წელი რომ არის, მაგიტომ შეეშინდა თუ ზოგადად?***

– მარტო არჩევნებს არ ვგულისხმობ. არჩევნები ჩემთვის არის შემადგენელი ბიძინა ივანიშვილის ყოფნა-არყოფნის. მას ან ხელისუფლად შეუძლია ყოფნა, ან თუ გაასწრო, სხვაგან იქნება, ან დიდი ხნით იქნება იზოლირებული.

***– საარჩევნო წელი რომ არ იყოს, მაინც შეეშინდებოდა ილია მეორის და საპატრიარქოსი?***

– კი, რა თქმა უნდა, თუმცა ეს ფაქტორი ამას კიდევ უფრო ამძაფრებს. ერთი მხრივ, მარტო შიშის ამბავი არ არის, მეორე მხრივ, „ხელი ხელს ბანს“ პრინციპიც არის. თუ აქამდე, 30 წლის მანძილზე ქვეყანას მართავდა შევარდნაძე-ილია მეორე, სააკაშვილი-ილია მეორე, ივანიშვილი-ილია მეორე და ეს იყო ერთი მხარე საერო და საეკლესიო ხელისუფლება ერთმანეთში შეზრდი-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

## სალომე ზურაბიშვილი: „წელს აღდგომის წირვაზე ვერ მივალ, რადგან კანონს ვერ დავარღვევ“

– ამ წელს სხვა ვითარებაა, ამ წელს მე ეკლესიაში ვერ მივალ. ვერ მივალ აღდგომის წირვაზე, რადგან ქვეყნის პრეზიდენტს არ შეუძლია, დაარღვიოს ის, რაც არის კანონი და წესი, – ამის შესახებ პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა.

როგორც პრეზიდენტმა აღნიშნა, ის კანონს ვერ დაარღვევს და ამ კუთხით სამაგალითო უნდა იყოს.

– 3 დღეში ბზობაა, 10 დღეში კი აღდგომა. მე არ მახსოვს ჩემი ცხოვრების არც ერთი წელი, როდესაც არ მივსულვარ ეკლესიაში აღდგომის წირვაზე, ან თუნდაც ვნების კვირეულის რომელიმე ლიტურგიაზე. ეს იყო ჩვენს ოჯახში დიდი ტრადიცია, ეს იყო ჩვენი რწმენის გამოხატულება. თუმცა, ამ წელს სხვა ვითარებაა, ამ წელს მე ეკლესიაში ვერ მივალ. ვერ მივალ აღდგომის წირვაზე, რადგან ქვეყნის პრეზიდენტს არ შეუძლია დაარღვიოს ის, რაც არის კანონი და წესი.

ქვეყნის პრეზიდენტი ამ კუთხით სამაგალითო უნდა იყოს და საზოგადოებას დაუმორჩილებლობის რამე მაგალითს ვერ მისცემს. ჩვენ, ამაში დარწმუნებული ვარ, ყველა ერთად ვილოცებთ. დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ეკლესიაში მყოფი სასულიერო პირები ჩვენთვის ილოცებენ და ის იქნება ჩვენი, ასევე ჩვენი რწმენის გამარჯვება, – განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

## ივანიშვილმა კოვიდ 19-ის დასამარცხებლად 100 მილიონი გადარიცხა

კორონავირუსის წინააღმდეგ საბრძოლველად შექმნილ ფონდში 100-მილიონიანი შემოწირულობა პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილმა განახორციელა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ მთავრობის ადმინისტრაციაში განუცხადეს, ბიძინა ივანიშვილის ოჯახმა ფონდისთვის გამოყოფილი თანხა ფონდ „ქართუში“ გადარიცხა, „ქართუმ“ კი თავის მხრივ – ფონდში.

ამ დროისთვის ფონდში მობილიზებული თანხის რაოდენობა 124.543.899 ლარს შეადგენს.

## ევროკავშირი საქართველო 180 მილიონ ევროს აჩუქებს

ევროკავშირის ელჩის საქართველოში კარლ ჰარცელის განცხადებით, ევროპა პანდემიის მწვავე შედეგების დაძლევისთვის ბრძოლის პარალელურად კვლავ პარტნიორების გვერდით დგას.

„ვიდრე ევროპა თავად იბრძვის კოვიდ 19-ის პანდემიის მწვავე შედეგების დასაძლევად, იგი კვლავ პარტნიორების გვერდით დგას. სიამაყით ვაცხადებ, რომ ევროკავშირი გადაამისამართებს და დააჩქარებს 180 მილიონ ევროზე მეტი თანხის გამოყოფას საქართველოს დასახმარებლად კოვიდ 19-თან გამკლავებაში.

ეს თანხები ხელს შეუწყობს ეკონომიკურ და სოციალურ გაჯანსაღებას, ადგილობრივ დონეზე გამოიყოფა და ასევე გააძლიერებს სახელმწიფო ფინანსებს, რათა დაეხმაროს საქართველოს, ამ რთულ ეკონომიკურ პერიოდს წარმატებით გაართვას თავი.

მთელი ეს დაფინანსება მოდის, როგორც გრანტი და არა როგორც სესხი, და იგი ემატება დახმარების პაკეტს, რომლის შესახებ ევროკავშირმა გასულ კვირას გამოაცხადა; საქართველოსთვის ევროკავშირის მთლიანი დახმარება 250 მილიონ ევროზე მეტია, – აღნიშნა კარლ ჰარცელმა.

8 აპრილს ევროკავშირმა გამოაცხადა კორონავირუსის ეპიდემიასთან ბრძოლაში პარტნიორი ქვეყნების ძალისხმევის მხარდამჭერი გლობალური რეაგირების შესახებ და არსებული რესურსებიდან 15 მილიარდ ევროზე მეტი თანხის გადამისამართების ვალდებულება აიღო, რაც საქართველოსთვის გამოყოფილ 183 მილიონ ევროზე მეტ თანხას მოიცავს.

# ივანიშვილმა ახლა დახარჯა 100 მილიონი, მაგრამ რამდენს წაიღებს მისი მთავრობა უკან?!

## ლაშა ჩხარტიშვილი: „თუ ხალხის ფულს არ მოიპარავენ, არავის სამათხოვრო არაფერი გვჭირს“

ნათია ხურცილავა

„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი **ლაშა ჩხარტიშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებზე საუბრობს.

***– ბიძინა ივანიშვილმა 100-მილიონი გადარიცხა „კოვიდ-19“ წინააღმდეგ ბრძოლის ფონდში. რას იტყვით თქვენ, ეს იყო ბუნებრივი, მოსალოდნელი ნაბიჯი ივანიშვილის მხრიდან თუ შეიძლება უფრო დიდი გათვლა გააკეთა?***

– ბიძინა ივანიშვილი პირად მიზნებს არგებს ქველმოქმედებას. ეს არ არის ახალი ამბავი. უკეთესი იქნებოდა, ქვეყანაში არ გვყავდეს ერთპიროვნული მმართველი, რომელიც თავად იყენებს მონოპოლიურ მდგომარეობაში თავს. თუ გავიხსენებთ მის ბიზნესს საქართველოში: „კარფური“, ოქროს საბადო, ჰესები, ბიტკოინები, ბანკები, ვნახავთ, რომ რეალურად ივანიშვილი აკეთებს მილიარდს და ქველმოქმედებაში ხარჯავს 100 მილიონს. მან ახლა დახარჯა 100 მილიონი, მაგრამ რამდენს წაიღებს მისი მთავრობა უკან?! თუ ხალხის ფულს არ მოიპარავენ, ბიუჯეტს ვგულისხმობ, არავის სამათხოვრო არაფერი გვჭირს. ამიტომ, ასეთი ერთი კაცის ხელისუფლება არჩევნებზე უნდა დავამთავროთ.

დღემდე არანაირი დახმარება რომ არ გაწეულა ადამიანებზე, ამ პიარის ნაწილი მგონია და იმედი მაქვს, რომ ჩვენი მოთხოვნილი ათასლარიანი დახმარება თითო ოჯახზე, ახლა მაინც შესრულდება. ეს კომპენსაცია ერთ ოჯახზე სრულად შეეძლო დაეფარა საქართველოს ბიუჯეტს. თუ ვინმე ფიქრობს, რომ ბიუჯეტი ვინმესია ან გახარიასი, ან ივანიშვილის, ძალიან ცდება. ბიუჯეტი ხალხს ეკუთვნის და როდესაც ხალხს ასე უჭირს, ამ კრიზისის პირობებში, ის ხალხს უნდა დაუბრუნდეს.

***– „ქართული ოცნების“ რეიტინგის ზრდაზე საუბრობენ ექსპერტები, რასაც ბუნებრივს უწოდებენ. უფრო კონკრეტულად პრემიერის რეიტინგზეა საუბარი. რამდენად იქონიებს ეს პერიოდი არჩევნებზე გავლენას?***

– სამწუხაროდ, მე ვერ ვხედავ რაიმე აღფრთოვანების მიზეზს უშუალოდ მთავრობის მოქმედებებში. გახარიას და ივანიშვილის ერთმანეთისგან დაყოფა ჩემთვის წარმოუდგენელი იქნებოდა. სამწუხაროდ, გახარიასაც, კალაძესაც და ყველას, ბიძინა ივანიშვილი მართავს. ამის ნიშანია პანტა-პუნტით არჩეული მერების მოშორებაც.

***– ქუთაისის მერიც გაუშვეს.***

– დიახ, გაუშვეს, არა მხოლოდ ქუთაისის, თერჯოლის და სხვაც. სამწუხაროდ, ჩვენთან ყველა მერი, ყველა მოსამართლე, ყველა პროკურორი, ყველა მინისტრი, ყველა უმრავლესობის დეპუტატი არის მარიონეტი. ამ შემთხვევაში არ აქვს მნიშვნელობა, ის არჩეული თანამდებობის პირია თუ დანიშნული. ეტყვიან: უნდა წახვიდე და ისიც მიდის.

წინა არჩევნებზე ვალების ჩამოწერის პროგრამა რა იყო, თუ არა არჩევნებში უხეში ჩარევა?! ვალების ჩამოწერაც იყო წინასაარჩევნო პიარი და ახლაც პიართან გვაქვს საქმე.

ისე, ზოგადად, ყოველთვის სახიფათოა ამ ტიპის ქვეყანაში, იქ, სადაც ასე უჭირთ ადამიანებს, მილიარდერი, რომელსაც პოლიტიკური მისწრაფებები აქვს, პოლიტიკაშია, გაუჩნდეს ცდუნება, რომ ყველაფერი საკუთარ ნება-სურვილს, საკუთარ აზრს, ინტერესებს მოარგოს, ეს ყოველთვის სახიფათოა.

***– სოციალური მიმართულებით მთავრობამ გარკვეული ნაბიჯი გადადგა. თქვენ რას შეცვლიდით?***

– სახელმწიფომ გამოყო 2 მილიარდი, აქედან რა დაიხარჯა, ძალიან საინტერესოა. მცირე ნაწილი კომუნალურებზე არის მიმართული და ეს გასაგებია, დანარჩენი თანხა რას უნდა მოხმარდეს, როგორ უნდა მოხდეს გადანაწილება, ამაზე უნდა გაიმართოს დისკუსია. მე, ყველაზე უფრო სამართლიანი მგონია, რადგან პანდემიაა გამოცხადებული, რომელიც ყველა მოქალაქეს ეხება, თითო ოჯახს დაურიგონ ათასლარიანი კომპენსაცია. ეს ბევრად უფრო მარტივიც იქნებოდა.



რასაკვირველია, არ შეიძლება არ აღვნიშნო, ასე თუ ისე, დანარჩენ ქვეყნებთან შედარებით, ვირუსის წინააღმდეგ ჩვენთან გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მიცვალებულების რაოდენობას მაინც ვერავინ ვერ დამალავდა. რა თქმა უნდა, ეპიდემიის გავრცელების კუთხით შედარებით უკეთესი მდგომარეობა გვაქვს, მაგრამ ტესტირება იქნებოდა ერთ-ერთი მხარდაჭერა საკუთარი მოსახლეობის. ადამიანების უდიდეს უმრავლესობას ტესტირება, ერთგვარად დაამშვიდებდა კიდეც. ეპიდემია უნდა შევაჩეროთ ნებისმიერი გზით, მაგრამ ეს გზა ადამიანების შიმშილობაზე არ უნდა გადიოდეს.

ეკონომიკური და სოციალური მიმართულებით აბსოლუტურად განწირულები არიან ადამიანები. ასე როგორ უნდა გაწირო საკუთარი მოსახლეობა?! ამდენი ხანი არ გადადგმულა არც ერთი ნაბიჯი მოსახლეობის მხარდასაჭერად, თუ არ ჩავთვლით გარკვეულ სეგმენტზე კომუნალურების ჩამოჭრას. მშიერი ადამიანების საკუთარ სახლებში კარანტინში გამოკეტვა ყოვლად მიუღებელია. ამ მიმართულებით მთავრობას მოუწევს ადრე თუ გვიან ნაბიჯების გადადგმა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ხელისუფლებამ მოსახლეობას ფული უნდა დაურიგოს“

## ლევან ხაბეიშვილი: „ხალხმა ყველა რეგულაცია შეასრულა, მთავრობა კი არაფერს აკეთებს“

ნონა ცაბაძე

ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ „ახალი თაობის“ კითხვებს **ლევან ხაბეიშვილი** პასუხობს.

***– ლევან, ხელისუფლებამ ყველა ბაზარი დახურა, ამან კი მოსახლეობას და თავად იქ მოვაჭრეებს სერიოზული პრობლემები შეუქმნა. ითქვა ისიც, რომ კონკრეტული ბიზნესინტერესები იკვეთება. რას იტყვით თქვენ?***

– კი ბატონო, ძალიან კარგია ეს კამპანია – დარჩი სახლში, ნორმალური და სწორია, თუმცა ეს არ უნდა დაემსგავსოს იმას, რომ დარჩით სახლში და ამოწყდით მშივრები.

***– უმუშევრად დარჩენილებს ახლა ბაზრების მოვაჭრეებიც შეემატნენ.***

– ბაზარში ადამიანებს, რომლებსაც მალფუჭებადი პროდუქტი ჰქონდათ, მიცვივდნენ და უთხრეს, ბაზრები დაიხურაო. ეს პროდუქტები სად წაიღონ ამ ადამიანებმა, ამაზე რამე შეთავაზება მიიღეს?! 40 ათასზე მეტი ადამიანია საქართველოს სხვადასხვა ბაზრებში დასაქმებული. ეს ადამიანები გადასახადის გადამხდელებიც იყვნენ და ეს ბიუჯეტი ამ ადამიანებსაც ეკუთვნით.

სახლში დასხდნენ, ზარალი ნახონ და თან ხელისუფლებამ არაფერი მიაწოდოს, ეს სადაური წესია. შეერთებულ შტატებში და ყველა ევროპულ ქვეყანაში, სადაც ასეთი კარანტინები და მძიმე დღეებია, ბიუჯეტიდან გამოყოფილია კონკრეტული თანხები, რომ ადამიანებს კვების პრობლემა არ შეექმნას.



***– ჩვენთან მსგავსი არაფერი ხდება?***

– ერთადერთი საქართველოა, სადაც არანაირ დახმარებას, არაფერ ხელშესახებს ეს ხელისუფლება არ აკეთებს.

ხალხი მართლაც ყველაფერს აკეთებს კორონას საწინააღმდეგოდ, პასუხისმგებლობით ეკიდება ყველა გადაწყვეტილებას. ხელისუფლების როლი მარტო ის კი არ არის, რომ საგანგებო მდგომარეობა გამომიცხადოს და მერე პატრულს ჯარიმები აწერინოს, 5 წუთით თუ გადამიშორდება სახლში შესვლა. მათი ფუნქციაა, რომ რაციონალურად მოხდეს ბიუჯეტის გადანაწილება, სწრაფად შეიმუშაონ ანტიკრიზისული გეგმა და ა.შ.

ამ თვენახევრის განმავლობაში, ჩვენ მსგავს ვერაფერს ვხედავთ. რა ქნას ამდენმა მოვაჭრემ, რომ გაუფუჭდება პროდუქცია. ვინ აუნაზღაურებს ამ ზარალს?!

***– სერიოზული თავშეყრის ადგილი იყო ბაზრები და ვერ ვაკონტროლებდითო.***

– კი ბატონო, ესეც მესმის. წინასწარ ხომ ვიცოდით, რომ კიდევ უფრო მძიმე რეალობა გველოდებოდა. ბაზრის მეპატრონეებისთვის ეთქვათ, რომ ახალი აღარ შემოიტანოთ და რაც გაქვთ, ის პროდუქტი ამოყიდეთ ან ის ეთქვათ, რომ თქვენს პროდუქტებს გადავანაწილებთ და სხვადასხვა ქსელებში შევიტანთ, მსხვილ მარკეტებში და ა.შ. ეს ხალხი პირდაპირ დასვეს ნულზე. შეუვარდნენ უცებ, დაკეტეს და მორჩა ყველაფერი.

***– დიდ მარკეტებში ხომ შეიძლება ამ პროდუქციის შეტანა, იგივე კარფურში და სხვაგან?***

– რა თქმა უნდა, მეც მაგას ვამბობ. კოორდინაცია უნდა ყოფილიყო და ლაპარაკი ამ პრობლემის მოსაგვარებლად. ის კი არა, რომ წადით სახლში და ამოწყდით მშივრები.

დაებარებინათ ამ ქსელური მარკეტების ხელმძღვანელები და ეთქვათ, რომ გარკვეული პერიოდი პროდუქტი არ შემოიტანოთ და პროდუქტებს ბაზრებიდან მოგაწვდით, რომ არ გაფუჭდეს და ეს ხალხიც არ დავაზარალოთ. აი, ეს იქნებოდა სწორი.



ყველა ბაზრის დირექტორმა იცის, რა რაოდენობის პროდუქტი შეიძლება ჰქონდეთ მის მოვაჭრეებს ადგილზე. რა უნდოდა ამის მოგვარებას? მაგრამ ფეხებზე დაიკიდეს ეს ხალხი. მერე უკვირთ, რატომ გვიჩნდება კითხვები.

***– ხომ არ იკვეთება ვიწრო ბიზნესინტერესები?***

– კი ბატონო, ასეა. ის, ვისაც ისედაც დიდი ფული ჰქონდა, კიდევ უფრო მეტ ფულს იშოვის. თუ ვინმე ამ პრივილეგიებით სარგებლობს, არიან ისევ ეს მსხვილი ბიზნესები. ისეთი ვაჭრობა აქვთ დღეს ამ მსხვილ მარკეტებს, რომ ალბათ არ ექნებოდათ ასი წლის განმავლობაში. კარფურზე თამამად შემიძლია ვთქვა, იმიტომ, რომ თავად გადავამოწმე და თებერვალში კარტოფილი თუ ღირდა 1 ლარი და 10 თეთრი, ახლა ღირს 2 ლარი და 20 თეთრი. ყველაფრის ფასები გაორმაგებულია. ყველა პროდუქტი გაძვირდა.

***– იყო პროდუქტების ჩამონათვალი, რომელიც არ უნდა გაძვირებულიყო.***

– ეს ყველაფერი ტყუილია. ეს მთავრობა მარტო ლაპარაკობს და ლაპარაკობს იმას, რისიც თვითონაც არ ჯერა. რეალურად კი სულ სხვა რამ ხდება ქვეყანაში. ყოველთვის ასეა, ისინი სხვა რამეს ამბობენ და სხვა რამ ხდება. წიწიბურაზე ფასი არ მოიმატებსო, არც მაკარონზეო და თუ ფიზიკურად ვერ ვიშოვეთ, მაღაზიებში თუ არ იქნება წიწიბურა და მაკარონი, რა მნიშვნელობა აქვს, მოემატება თუ არა ფასი. შედით აბა კარფურში, ან მაკარონს თუ ნახავთ და ან წიწიბურას?! ფიზიკურად არ არის. გულით რომ გინდოდეთ, ვერ იყიდით.

ბიძინა ივანიშვილი ხომ ამ დრომდე არ უნახავს არავის, ბუნკერშია დამალული. მიხვდნენ, რომ ძალიან სასაცილო მდგომარეობაში არიან და თურმე 100 მილიონი ლარი ჩაურიცხავს ფონდში. საუბარია 30 მილიონი დოლარის გამოყოფაზე. კარგით რა, ბიძინას ოთხჯერ მეტი დაუჯდა სალომეს გაპრეზიდენტება. ამაში ოთხჯერ მეტი თანხა დახარჯა, ვიდრე მან ეპიდემიასთან ბრძოლისთვის გაიღო. თურმე 100 მილიონი გადარიცხა. 30 მილიონი დოლარი არის ბიძინა ივანიშვილის ქონების მცირე ნაწილი.

***– შეუძლიათ რომ შემოგედავონ, ეს არის ქველმოქმედება და რამდენსაც უნდა, იმდენს გადარიცხავს, დაუნახავები არ უნდა ვიყოთო...***

– უკაცრავად, მაგრამ არანაირი ქველმოქმედება ეს არ არის. მარტო საყდრისის აფეთქებით ორი მილიარდი ლარი წაიღო. რა, ეს მისი ქონება იყო?! ჩვენი, ხალხის იყო საყდრისი და სხვა ყველაფერიც. გაძარცვა და ორი მილიარდი მარტო მანდედან წაიღო!

უკაცრავად, მაგრამ რკინიგზიდან 300 მილიონი რომ არის დაკარგული, დღგ-ს საქმიდან ასობით მილიონი ლარია გამქრალი. თითო კოლოფი სიგარეტიდან 5 თეთრი რომ უნდა წასულიყო მაგათ „ობშიაკში“, ასე თქვა ჩხარტიშვილმა, ჩვენ დებილები კი არა ვართ. რაც ეს ქვეყანა გაძარცვა ბიძინა ივანიშვილმა ბოლო წლებში, იმის 30% მოაბრუნოს უკან და მეტი არ გვინდა.

ასობით მილიონ ლარს ის არჩევნებზე ხარჯავს. ას მილიონ ლარზე მეტი მარტო ზუგდიდის არჩევნები დაუჯდა, საერთოდ რაზე ვლაპარაკობთ! და მერე ასი იმდენი აქვს ამოღებული. ივანიშვილმა ეს ფული ერთი თავისი ფონდიდან აიღო და მეორე თავის ფონდში გადარიცხა. ამას ისევ თვითონ განკარგავს და დახარჯავს.

არ დაგავიწყდეთ, რომ მილიონობით ლარი წამოვა მსოფლიოდან საქართველოს დასახმარებლად და აი ამ ფულს მოასხდებიან სწორედ ბიძინა ივანიშვილი და მისი ბანდა! ასი მილიონი კი არა, ათმაგად ამოიღებენ. 138 მილიონ ევროს მარტო ევროკავშირი გამოყოფს და ეს ლამის 500 მილიონი ლარია.

***– ლევან, ოპონენტები აქაც შემოგედავებიან. მთელი მსოფლიო აქებს ჩვენს ხელისუფლებას და მარტო ქართული ოპოზიცია ლანძღავსო...***

– უკაცრავად რა, საერთოდ რაზე ვლაპარაკობთ. 2 ათას ტესტს რომ გააკეთებ, 5 ათასი შემთხვევა ვერანაირად ვერ გექნება. დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან ბევრ ადამიანს სახლში გადააქვს კორონავირუსი. თუ არ იხრჩობი, ტესტს არ გაგიკეთებენ. რამდენი ადამიანი მივიდა მსგავსი სიმპტომებით და უკან გამოაბრუნეს და მერე აღმოჩნდა, რომ კორონავირუსი ჰქონდათ.

მოდი, მაშინ ასე გავაკეთოთ, ვინც იხრჩობიან, იმათაც არ გავუკეთოთ ტესტი და საერთოდ ნულზე გვექნება კორონა და ვთქვათ, რომ არ გვაქვს! რა, თავი გვინდა რომ მოვიტყუოთ?! ვის ვაჩვენებთ ამით, რომ მაგრები ვართ?! თუ ტესტს არ გავაკეთებთ, არც ერთი შემთხვევა არ გვექნება. რამდენი ადამიანი კვდება კიდევ და სულ არ ვიცით, კორონათი მოკვდა თუ ინსულტით, ეს კიდევ ღმერთმა იცის!

სხვა ქვეყნებს იმიტომ ჰყავთ ამდენი დაავადებული, რომ ისინი აქტიურ ტესტირებას აწარმოებენ. ჩვენთან ორი ათასი ტესტიც არ არის გაკეთებული და 220 შემთხვევაა. ვის აბოლებენ, მათემატიკა ყველამ ვიცით. აბა ჩაუტარონ ტესტირება 1 მილიონ ადამიანს და ვნახავთ, რამდენი კორონავირუსიანი აღმოჩნდება!

ეს ყველაფერი არის მოჩვენებითი. კი ბატონო, იყოს ასე, ღმერთმა ქნას, არ იყოს ბევრი შემთხვევა და ეს ყველაფერი მშვიდობიანად გავიაროთ. მერე რა იქნება, ვირუსი რომ გაივლის?!

***– რა იქნება?***

– მთავრობა პრაქტიკულად არაფერს აკეთებს. ერთადერთი გვაფრთხილებს, რომ გარეთ არ გავიდეთ. მეტს რას აკეთებენ ესენი?! რაში არიან ორგანიზებულები?! ორგანიზებული აღმოჩნდა ჩვენი მოსახლეობა, რომ ყველა დავალებას ასრულებს. სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, სადაც ქალაქის მერები ქუჩაში დასდევდნენ ხალხს, შედით სახლშიო. ხალხმა ყველა რეგულაცია შეასრულა. მთავრობა რას აკეთებს ამ დროს, ჩვენ რომ სახლში დავრჩით? რამე პროდუქტს გვაწვდის თუ რას აკეთებს?!

არც არაფერს არ აკეთებს და ეს ყველაფერი ბუმერანგივით დაუტრიალდებათ! კორონა გაივლის, დავამარცხებთ და მერე რომ უმძიმესი ვითარება გველოდება, აი ამისთვის უნდა ემზადებოდეს ხელისუფლება. ესენი კი რაღაც პოლიტიკურ ბატალიებში იხლართებიან

***– რას გულისხმობთ?***

– თუნდაც გუშინ ხუთი ქალაქის მერი რომ მოხსნეს. ახლა ამის დრო იყო? ამისთვის სცალიათ?!

***– რატომ მოხსნეს მერები?***

– არჩევნებისთვის ემზადებიან. თქვენ რა გგონიათ, ესენი კორონაზე კი არ ნერვიულობენ, ბუნკერში იკრიბებიან და იმას წყვეტენ, მერი ვინ უნდა ჩაანაცვლოს.

ხალხო, სიგიჟეა! ნუ ექნება ნურავის წარმოდგენა, რომ ესენი ხალხზე ფიქრობენ. ამ კორონას პირობებში ეს ტიპები შეიკრიბნენ და გადაწყვიტეს, რომელი მერი გაეშვათ.

საერთოდ რაზე ვლაპარაკობთ!

# ბიძინა გუჯაბიძე: „კორონავირუსის შემდეგ პოლიტიკაში აგრესია ჩაცხრება“

## „მთავრობამ ანტიკრიზისული გეგმის შემუშავებაში მაღალი კლასის პროფესიონალები უნდა ჩართოს“

მარიამ მჭედლიშვილი

კომენდანტის საათის გამო მოქალაქეები ღამით ვერ მივიდნენ 9 აპრილის მემორიალთან, თუმცა, დილიდან რუსთაველის ამ მონაკვეთზე ხალხმა დაიწყო პატივის მიგება 1989 წლის გმირების მიმართ. ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატ **ბიძინა გუჯაბიძეს**.

***– კომენდანტის საათმა დააბრკოლა მოქალაქეები, თუმცა, 9 აპრილს, დილიდან 9 აპრილის მემორიალთან მოძრაობა დაიწყო. ეს იმის მანიშნებელია, რომ ვირუსები და პანდემიები ამ დღეს დაღუპულების ხსოვნას ხელს ვერ შეუშლის?***

– რასაკვირველია. რა უნდა მოხდეს ისეთი, რომ ჩვენ ეს დღე და 1989 წლის 9 აპრილს დაღუპულები დავივიწყოთ? მათი დავიწყება გამორიცხულია, რაც უნდა ეპიდემია და საომარი მდგომარეობა იყოს. ინტერნეტში ვნახე ფოტოები, სადაც ამ დგილზე მისული ბიძინა ივანიშვილიც ვნახე. ჩვენ ეს გმირები მარტო კი არ უნდა ვახსენოთ და მათ პატივსაცემად ყვავილები მივიტანოთ, ჩვენ მათი სულები ლოცვებში უნდა მოვიხსენიოთ.

***– ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ კოვიდინფექციის გადატანის შემდეგ მსოფლიო სხვანაირი გახდება. როგორ გგონიათ, მენტალურადაც მოსალოდნელია ძვრები?***

– მსოფლიო ერთად დადგა ამ კატასტროფის წინაშე. შექმნილმა კრიზისმა ყველას



უკარნახა, რომ ერთად უნდა დადგნენ, რომ აუცილებელია სოლიდარობა და სიყვარული, ერთმანეთის პატიება. ამას ჩვენი ქრისტიანული მრწამსი გვკარნახობს – რასაც გასცემ, ის დაგიბრუნდება. მთავარი ის კი არაა, შენ დაიმალო, იზოლაცია გამოაცხადო იმისთვის, რომ პირადად გადარჩე. თუ საჭიროა, ესეც უნდა გააკეთო. პირველ რიგში, სხვებზე უნდა იფიქრო, სხვებს დაეხმარო. მოყვასი მართლა უნდა გიყვარდეს. მრწამსი ჩვენ მტრის პატიებასა და სიყვარულსაც გვასწავლის.

***– საქართველოში რა ხდება ამ მიმართულებით?***

– ჩვენ ერთმანეთის თანადგომა, ერთმანეთის დახმარება სხვისგან არ გვესწავლება. ახლაც, ამ საგანგებო მდგომარეობის დროს, მეზობელი მეზობელს ეხმარება, ნათესავი – ნათესავს. ხელისუფლებაც არ ზის გულხელდაკრეფილი. გამგებლები, მერები აგროვებენ ყველაზე მოწყვლადი და უმწეო ადამიანებისათვის საჭირო პროდუქტებს. ეს შემწეობა განსაკუთრებით საჭიროა იმათთვის, ვინც გარეთ ვერ გამოდის და ვისაც მატერიალურად უჭირს.

***– ჩვენს საზოგადოებაში აგრესია არ ცხრება. ერთი მხრივ, ხელისუფლებას ადანაშაულებენ ბევრ რამეში, მეორე მხრივ, მისი მომხრეები ნიშნის მოგებით საუბრობენ „ნაცმანიაკებზე“, რომელთა ჯიბრზე ბიძინა ივანიშვილმა 100 მილიონი გადარიცხა კორონავირუსთან ბრძოლის ფონდში.***

– ერთმანეთზე თავდასხმები, მართლაც, ორმხრივია ხოლმე. არ მესმის, რა საჭიროა ერთმანეთის ლანძღვა-გინება, რომელსაც სოციალურ ქსელებში ბილწსიტყვაობაც ხშირად ახლავს. აზრის გამოხატვა ნორმალური ფორმითაც შეიძლება. გაუგებარია, რატომ უნდა გამოხატავდე ზიზღს, თუ მოწინააღმდეგე ქველმოქმედებას ახორციელებს, ან რატომ უნდა მიაყენო შეურაცხყოფა მოწინააღმდეგეს, თუ შენი რჩეული ლიდერი ქველმოქმედია?!

***– პოლიტიკაში რა შეიცვლება საგანგებო მდგომარეობის დამთავრების შემდეგ? ამ სფეროში არაფერი გადასხვაფერდება?***

– დიდი დათმობები, თანადგომა და სოლიდარობა პოლიტიკაში ვერ მოხდება. მე იმის იმედი მაქვს, რომ აგრესია შეწყდება.

***– პანდემია ჩვენს პოლიტიკაზე ასე აისახება?***

– ახლანდელი სიტუაცია გამოიწვევს იმას, რომ პოლიტიკოსები ერთმანეთს არგუმენტებით დაელაპარაკებიან. კრიზისი იქნება ამის წინაპირობა. არა მგონია, რომ ქართველი პოლიტიკოსები ძველებურად მოიქცნენ. შეწყდება ერთმანეთის შეურაცხყოფა და იქნება არგუმენტირებული მსჯელობა.

***– მთავრობამ ანტიკრიზისული (ეკონომიკური) გეგმის შემუშავება გადაწყვიტა ანალიტიკური და კვლევითი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად. ეშველება საქართველოს გაჩერებულ ეკონომიკას?***

– დარწმუნებული ვარ, რომ ეშველება. კარგი იყო, ყველაფერი არ გაჩერებულიყო. ამაზე ადრე ვისაუბრე. კრიზისი აუცილებლად დაიძლევა. ანტიკრიზისული გეგმა აქამდეც გვეჩქარებოდა. თუ მის შემუშავებაში ნამდვილ სპეციალისტებს ჩააბამენ, ამას მივესალმები.

***– რას ნიშნავს ნამდვილ სპეციალისტებს?***

– მთავრობამ ანტიკრიზისული გეგმის შემუშავებაში მაღალი კლასის პროფესიონალები უნდა ჩართოს. ქვეყანაში გვყავს ადამიანები, რომლებიც ყველაფრის ექსპერტებად ითვლებიან. არც შეიძლება ერთი ადამიანი ყველაფრის სპეციალისტი იყოს. მთავრობამ უნდა მოიწვიოს ყველა დარგის პროფესიონალები. ანტიკრიზისული გეგმა წარმატებული მაშინ გამოვა და ეკონომიკასაც მაშინ ეშველება.

# 9 აპრილიდან „ნოვიჩოკამდე“

ელისო ჭიპაშვილი – 25 წლისა, თბილისიდან. 6 თვის ორსული, რესპუბლიკური საავადმყოფოს სანიტარი იყო... მისი მამა იხსენებს: „იმ ღამით ვიღაც ბავშვისთვის დაურტყამთ სალდათებს და იმ ბავშვს გადაფარებია ელისო. ახლა ელისოს რომ მოუტრიალდა სალდათი, შეუძახნია: – რას შვრები, მე ფეხმძიმედ ვარო! იმას კიდევ უფრო გამეტებით დაურტყამს: – „Ещё лучше!“

31 წელი გავიდა იმ დღიდან, რომელმაც საქართველოს უახლესი ისტორია კარდინალურად შეცვალა. 31 წელი გავიდა იმ დღიდან, რომელიც 15 წლის ეკა ბეჟანიშვილისთვის უკანასკნელი აღმოჩნდა, ისევე, როგორც იმ 20 ადამიანისთვის, რომლებიც 1989 წლის 9 აპრილს რუსულ ჩექმას ემსხვერპლნენ.

1989 წლის 9 აპრილს, გამთენიისას თბილისში, რუსთაველის გამზირზე, საბჭოთა კავშირის სადამსჯელო ნაწილებმა მშვიდობიანი საპროტესტო აქცია დაარბიეს. დაღუპულებს შორის, უმეტესობა ქალები იყვნენ, მათ შორის სკოლის მოსწავლეებიც. ამას გარდა, იყვნენ დაჭრილები, დაუდგენელი ქიმიური ნივთიერებით მოწამლეს 2000-ამდე ადამიანი. საბჭოთა რეჟიმმა მომხდარში მომიტინგეები დაადანაშაულა.

ხშირად, 1989 წლის 9 აპრილს თბილისში დატრიალებულ ტრაგედიას განვიხილავთ, როგორც იზოლირებულ, უნიკალურ მოვლენას საბჭოთა იმპერიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ზეგავლენით დაშლის პროცესში, თუმცა მსგავს ტრაგიკულ მოვლენებს ადგილი ჰქონდა სხვა საბჭოთა ქვეყნებშიც. ყველა იმ საბჭოთა რესპუბლიკაში, სადაც გათავისუფლების, დამოუკიდებლობის სურვილი ან ბრაზი ჩნდებოდა – ყველგან კლავდნენ პატარა გოგო-ბიჭებს, თელავდნენ ყველა ასაკის ადამიანს, რადგან იქაც უმალვე ჩნდებოდა რუსული ტანკი და რუსული ტყვია. საბჭოთა ძალადობრივმა სისტემამ ასევე გადათელა ადამიანები აზერბაიჯანში, ლიტვაში, უნგრეთში, პოლონეთსა და მაშინდელ ჩეხოსლოვაკეთში. ამ ქვეყნებშიც ბევრჯერ გაისმა რუსული – „Ещё лучше!“






## უნგრეთის აჯანყება – 1956

ტოტალიტარული რეჟიმის წინააღმდეგ უნგრეთის აჯანყება, 1956 წლის 23 ოქტომბერს დაიწყო და საბჭოთა ჯარების მიერ მთლიანად იქნა ჩახშობილი ნოემბრის შუა რიცხვებისთვის. ბუდაპეშტში 24 ოქტომბერს 6 ათასამდე რუსი სახმედრო, 290 ტანკი, 120 ბტრ-ი, 156 ტყვიამფრქვევი შეიყვანეს. ბუდაპეშტში, პარლამენტის შენობის წინ მიმდინარე მიტინგზე ინციდენტი მოხდა, რომლის დროსაც შენობის ზედა სართულებიდან გაისროლეს, დაიღუპა საბჭოთა ოფიცერი და დაიწვა ტანკი. საბჭოთა სამხედროებმა მანიფესტანტების მიმართ ცეცხლი გახსნეს. შედეგად 61 ადამიანი დაიღუპა და 284 დაიჭრა. ისტორიკოსები თვლიან, რომ სროლის პროვოცირება საბჭოთა სპეცსამსახურების თანამშრომლებმა მოახდინეს. საბოლოოდ კი, უნგრელების აჯანყების ჩახშობა 4 ნოემბრამდე გაგრძელდა. უნგრეთის მთავრობის ხელმძღვანელი იმრე ნადი შეპყრობის შემდეგ დახვრიტეს, ხოლო 20 ათასამდე უნგრელი რეპრესიებისა და ბრძოლების შედეგად დაიღუპა. უნგრეთის რესპუბლიკა 23 ოქტომბერს „ეროვნულ და გათავისუფლებისთვის ბრძოლის დღეს“ აღნიშნავს. უნგრეთის აჯანყება ცივი ომის პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, რომელმაც მსოფლიოს აჩვენა, რომ საბჭოთა კავშირი მზადაა ძალისმიერი მეთოდებითაც შეინარჩუნოს ძალაუფლება.

## „პოზნანის ივნისი“ – 1956

პოლონეთის ქალაქ პოზნანში 1956 წელს მასშტაბური აჯანყება დაიწყო. ეს აღმოსავლეთ ევროპაში არსებულ სოციალისტურ ქვეყნებში ერთ-ერთი ყველაზე დიდი საპროტესტო მღელვარება იყო. ქალაქის ქუჩებში 100 ათასამდე დემონსტრანტი გამოვიდა. ისინი ყვიროდნენ – „პური!“, „თავისუფლება“, „ღმერთი“, „ძირს კომუნიზმი!“. ივნისის ქუჩის დემონსტრაციები ჯარისა და პოლიციის ძალების მიერ იარაღით იქნა ჩახშობილი. ამ დროს სხვადასხვა მონაცემებით 74 ადამიანამდე დაიღუპა, 500 დაიჭრა. დაღუპულებს შორის 13 წლის რომეკ სტშალკოვსკი იყო.

## პრაღის გაზაფხული-1968

1968 წელს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ლიდერმა ალექსანდერ დუბჩეკმა ეკონომიკური რეფორმების გატარება, ცენზურის შემცირება და ქვეყანაში „ადამიანური სახის სოციალიზმის“ დამყარება დაიწყო. ცვლილებებს საბჭოთა კავშირმა ამავე წლის 21 აგვისტოს უპასუხა – ქვეყანაში 500 ათასამდე ჯარისკაცი, 1 ათასი ტანკი და ასობით თვითმფრინავი გააგზავნა. ყველაზე გახმაურებული ბრძოლა პრაღის ცენტრში, ჩეხოსლოვაკიის რადიოს ცენტრალურ ოფისთან გაიმართა. შეტაკებისას 15 ადამიანი დაიღუპა, როცა მოქალაქეებმა ცენტრალური რადიოს ოფისში რუსი ჯარისკაცების შესვლა არ დაუშვეს. მთლიანობაში, სხვადასხვა წყაროებით, ოპერაცია „დუნაის“ სახელით ცნობილი ამ საბჭოთა ინტერვენციის შედეგად 137-მდე სამოქალაქო პირი დაიღუპა.

## ვილნიუსის მოვლენები-1991

1991 წლის 11 იანვრიდან 13 იანვრამდე საბჭოთა სპეცდანიშნულების რაზმების მიერ ლიტვის მთავრობის არაკანონიერად დამხობის მცდელობა მოხდა. პარლამენტის შენობისა და ვილნიუსის ტელეანძის დაცვის დროს დაიღუპა 14 შეუიარაღებელი მშვიდობიანი დემონსტრანტი და 702 დაიჭრა. ლორეტა ასანავიჩუტეს ტანკმა გადაუარა, თუმცა დღემდე რუსული დეზინფორმაციული მანქანა ამის უარყოფას ცდილობს. იანვრის მოვლენების შედეგად მოხდა ლიტვის სახელმწიფოებრიობის საბოლოო აღდგენა. 1991 წლის 9 თებერვალს ჩატარდა რეფერენდუმი, რომელშიც ლიტვის სრულ და აბსოლუტურ დამოუკიდებლობას მონაწილეთა 90,47%-მა დაუჭირა მხარი.

## შავი იანვარი ბაქოში – 1990

შავი შაბათი ან იანვრის ხოცვა – 1990 წლის 20 იანვარს, ბაქოში მშვიდობიან აზერბაიჯანელ მომიტინგეთა დარბევა საბჭოთა არმიის მიერ. ამ ტერორის შედეგად, ბაქოს ქუჩებში 170 ადამიანი დაიღუპა. იქ ტანკებით გადათელეს ქალები, არასრულწლოვნები... იქაც არა ერთი რუსი ტანკისტი ეუბნებოდა პატარა გოგოებს – „Ещё лучше!“.

და ეს არასრული ჩამონათვალია იმ სასტიკი დანაშაულებებისა, რომელიც საბჭოთა ეპოქის სხვადასხვა ეტაპზე ადამიანების წინააღმდეგ კრემლმა ჩაიდინა. ბუნებრივია, ყველა ზემოთ ჩამოთვლილ შემთხვევაში ადამიანების პროტესტის გამოხატვას თუ მასობრივ შეკრებას სხვადასხვა მოტივები ჰქონდა, მაგრამ ის რაც ამ ტრაგედიებს აერთიანებს, არის ერთი დიდი ადამიანური ტკივილი და ერთ კონტექსტში განსახილველი. ტერორით შექმნილი სისტემა ტერორითვე ცდილობდა ყველანაირი წინააღმდეგობის ჩახშობას, არასოდეს ერიდებოდა ადამიანის სიცოცხლის ხელყოფას.



დღესაც კი, კრემლში მსხდომი ამ ტოტალიტარული სახელმწიფოს სამართალმემკვიდრეები იმავე მეთოდებს და მმართველობის სტილს აღმერთებენ. მათთვის ეკა ბეჟანიშვილის ან რომეკ სტშალკოვსკის სიცოცხლეს არანაირი ღირებულება არა აქვს. ისინი დღესაც იყენებენ მომწამვლელ ქიმიურ ნივთიერებებს ადამიანების მოსაკლავად – ახლა უკვე ევროპის ქალაქებში.

**სოფიკო ჩუბინიძე**

# თენგიზ დიხამინჯია: „უზენაესი საბჭო არის სახელმწიფოებრიობის დამფუძნებელი“

გულიკო ბალაძე

– სიმბოლურია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება 9 აპრილს, ვინაიდან ამ დღეს გადაწყდა საქართველოს ბედი.

„9 აპრილს წამებულთა სულები დაგვცქერიან ჩვენ და ხარობენ ზეციურ ნათელში, რამეთუ აღსრულდა ნება მათი, აღსრულდა ნება ქართველი ერისა, გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!“ – ზვიად გამსახურდიას ეს სიტყვები, ფაქტობრივად, განსაზღვრავს როგორც 1989 წლის 9 აპრილის, ასევე 1991 წლის 9 აპრილის მნიშვნელობას. „ახალი თაობა“ დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე ხელმომწერს, უზენაესი საბჭოს დეპუტატ **თენგიზ დიხამინჯიას** ესაუბრა.



***– ბატონო თენგიზ, მოგეხსენებათ 9 აპრილი არის ქართველი ერის დიდი ბრძოლისა და ამ ბრძოლაში გამარჯვების დღე. თქვენ ხართ ადამიანი, რომელმაც 1989 წლის 9 აპრილის ტრაგიკული დღიდან ორი წლის შემდეგ, 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს ხელი მოაწერეთ, რითაც საფუძველი ჩაეყარა თანამედროვე, ახალი ქართული სახელმწიფოს მშენებლობას. რას გრძნობდით მაშინ, როდესაც ხელს აწერდით საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს და რას გრძნობთ დღეს, როდესაც დიდი ბატალიებისა, სახელმწიფო გადატრიალებისა და დაპირისპირებებისა, ბევრი დანაკარგისა, წინააღმდეგობებისა და ურთიერთქიშპობისა, ქართული სახელმწიფო ამ დღიდან 31 წლის შემდეგაც განაგრძობს არსებობას და წინ მიიწევს?***

– სანამ 1991 წლის 9 აპრილზე ვისაუბრებდე, მინდა მის წინამორბედ 31 მარტის რეფერენდუმს შევეხო, რომელიც ჩაატარა საქართველოს უზენაესმა საბჭომ. რეფერენდუმის კითხვა იყო მარტივი და ლაკონური, გსურთ თუ არა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე? „კი“ თუ „არა“.

უზენაესი საბჭოს არჩევნებში „მრგვალმა მაგიდამ“ კონსტიტუციური უმრავლესობით გაიმარჯვა. მას პროგრამაში ეწერა, რომ გამარჯვების შემთხვევაში ის საქართველოს დამოუკიდებლობას გამოაცხადებდა. ჩვენ შეგვეძლო დამოუკიდებლობა ყოველგვარი რეფერენდუმის გარეშე აღგვედგინა, რადგან პროგრამაში გვქონდა და ამის პრეცედენტები მსოფლიოში არის. დამოუკიდებლობის აღდგენას ხმა მისცა ამომრჩეველთა 98%-მა, მათ შორის, პრობლემურ რეგიონებში.

***– კადრებში ჩანს, ყველა დიდ მღელვარებას განიცდის.***

– უზენაესი საბჭო, ფაქტობრივად, არის სახელმწიფოებრიობის დამფუძნებელი. უზენაესი საბჭოს თითოეული წევრი განიცდიდა უდიდეს მღელვარებას, სიხარულს, ბედნიერებას და ამავდროულად პასუხისმგებლობას ქვეყნის როგორც წარსულის, ასევე მომავლის წინაშე. უმრავლესობამ ეს ტვირთი ღირსეულად ზიდა. აღდგა ის დარღვეული ისტორიული დროთა კავშირი, რომელიც ისტორიულ ბედუკუღმართობის გამო დაირღვა და ჩვენ გავხდით სრულუფლებიანი სამართლსუბიექტი.

შემდგომში რა პროცესებიც განვითარდა, ცალკე საუბრის თემაა. მოგეხსენებათ, მოხდა სამოქალაქო დაპირისპირება, ღია აგრესიები და ჩვენ უმძიმეს პირობებში აღმოვჩნდით. არ ჩამოვთვლი ამ ომებს, ჩვენს საზოგადოებას და მსოფლიოს ისედაც კარგად მოეხსენება.

***– წლების განმავლობაში იმის გამო, რომ შიდა დაპირისპირებები იყო ქვეყანაში (დაწყებული გადატრიალებიდან) სათანადოდ ვერ აფასებდნენ 1991 წლის 9 აპრილის მნიშვნელობას. დღეს პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ 1989 წლის 9 აპრილის წინაშე ის ქედს იხრის, რომელმაც მიგვიყვანა 1991 წლის 9 აპრილამდე, ანუ დამოუკიდებლობის აღდგენამდე მიგვიყვანა.***

– პრემიერ-მინისტრისა და მთავრობის ეს განცხადება იყო, სამწუხაროდ, ფრაგმენტული ხასიათის. კარგია, რომ ეს თარიღი თუნდაც ამ სახით ახსენა, მაგრამ აშკარად არასაკმარისია. უნდა მოხდეს იმ ფასეულობების დეკლარირება, განსაზღვრა, რაც ეხება მიწის საკითხს, ორმაგ მოქალაქეობას.

***– ორმაგი მოქალაქეობა არ უნდა იყოს?***

– რა თქმა უნდა, არა. თუ ხელისუფლება მზად არის, უზენაესი საბჭოს წევრები და ის ექსპერტები, რომლებიც ჩვენთან ახლოს არიან, მზად არიან, ხელისუფლებასთან სათანამშრომლოდ. ჩვენ დადებული გვაქვს უმაღლეს ეკონომიკურ, ფინანსურ, სოფლის მეურნეობისა და რეგიონულ, მიწის განკარგვის საკითხებზე პროექტები. ამ თვალსაზრისით, ჯგუფი დღესაც მუშაობს, რომელიც ყველა ხელისუფლებას სთავაზობდა და დღევანდელსაც სთავაზობს, ანგარიში გაუწიონ ამ ხედვასა და ფასეულობათა სისტემას.

ჩვენ მზად ვართ სათანამშრომლოდ. გარკვეულწილად, პრემიერთანაც იყო გზავნილები და კიდევ იქნება. ჩვენ ამისთვის მზად ვართ სათანამშრომლოდ, ოღონდ მათი მხრიდანაც უნდა იყოს თანამშრომლობის სურვილი.

# დავით ბერძენიშვილი: „ივანიშვილმა ხალხისთვის დასაბრუნებელი ვალის ნაწილი დააბრუნა“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ლი და მეორე მხარე ვიყავით ჩვენ – უმცირესობა, ევროპული და ევროატლანტიკური არჩევანის მქონე საზოგადოება. ახლა ამ კორონობისას ორი მხარე გახდა – ბიძინა ივანიშვილი, ილია მეორე და მისი ადმინისტრაცია, ეს არის ბნელი მხარე, ანუ წარსული და მეორე მხარე არის საზოგადოება, ნათელი მხარე, რომელიც მოითხოვს ამ სიბნელისგან ქვეყნის დაცვას და იბრძვის საკუთარი თავის და მომავლის გადასარჩენად.

***– საზოგადოებაშიც ბევრია ისეთი, ვინც ეკლესიის პოზიციებს ახმოვანებს.***

– მე იმას საზოგადოებას არ ვეძახი. არის საზოგადოება და არის მოსახლეობის ნაწილი. ის, ვინც არის საზოგადოება, ის უფრო და უფრო იზრდება. ეს საზოგადოება ჭრელია, მაგრამ მრავალფეროვანი და ეს საზოგადოება შედგება როგორც მრევლის ნაწილისგან, ისე სხვადასხვა აღმსარებლებისგან, ათეისტებისგან, იმ თეოლოგებისა და იმ სასულიერო პირებისგან, რომლებიც არ ემორჩილებიან ამ შავ-ბნელ სახიფათო მიდგომას, რაც აქვს საქართველოს საპატრიარქოს.

ბერძნებს ეჭიმებიან, სერბებს, ბულგარელებს, რუმინელებს... არაფერს ვამბობ კათოლიკურ, პროტესტანტულ თუ სხვა რელიგიებზე. ყველა რელიგიას დაუპირისპირდა და ესაა სიბნელის მხარეს დგომა. ივანიშვილი და ილია მეორე ეს არის ერთი მხარე, ესაა წარსული და სიბნელე. მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ ჟამიანობის დასასრულს ქართული საზოგადოება და სახელმწიფო იქნება განუზომლად ძლიერი, ვიდრე იყო ჟამიანობამდე.

ამასთანავე 9 აპრილი იყო, დამოუკიდებლობა მოიპოვა ჩვენმა თაობამ და თავისუფლება ჩვენი შვილების მოსაპოვებელია ჩვენი დახმარებითაც.

***– პრემიერმა თქვა, რომ ეკონომიკური ზრდა შენელდება და ამას თავადაც არ მალავს ხელისუფლება. დაარტყამს თუ არა ეს ხელისუფლების ბოლო პერიოდში გაუმჯობესებულ რეიტინგს?***

– იმდენად რთული ვითარებაა და ისეთი უმძიმესი პროცესი მიდის მთელ მსოფლიოში და საქართველოშიც, რომ ჩემთვის არ არის პრიორიტეტული ხელისუფლების საკითხი. მე არ ვუყურებ პროცესებს ოქტომბრის გადმოსახედიდან. ის იქნება პროცესის შემადგენელი ნაწილი, ამიტომ არჩევნებისთვის რა და როგორ იქნება, ეს არ არის ჩემი აზროვნების მთავარი ორიენტირი.

ივანიშვილს საქართველოს ვალი აქვს და მან დაამუხრუჭა საქართველოს განვითარება, მათ შორის ეკონომიკური მიმართულების მხრივაც. ის მონოპოლისტია ეკონომიკაში და ამიტომ ეს ვალი აქვს.

რაც შეეხება ეკონომიკას, ყველა საშუალოდ განვითარებული ქვეყანა ახერხებს, რომ საკუთარი მოსახლეობა დაიცვას. ზოგი 100%-ით აძლევს შემოსავალს, ზოგი 70%-ით. სოციალურად დაუცველებს სახელმწიფო, ბიზნესმენები, საერთაშორისო ორგანიზაციები 100%-ით უზრუნველყოფენ.

ჩვენ ძირითადად საერთაშორისო მხარდაჭერის იმედად ვართ, ამიტომ მას ქართული ფინანსები ვერ ამოქაჩავს. ჩვენთვის მთავარია სიცოცხლის გადარჩენა, რომლისთვისაც უმნიშვნელოვანესია არსებული რესურსების მაქსიმალურად გამოყენება. ბიძინა ივანიშვილს სწორედ აქ მოეთხოვება იმ ვალის დაბრუნება, რომ მილიონები ხალხის მასობრივად გადარჩენას მოახმაროს.

***– ანუ, ახლა მან ვალის ნაწილი დააბრუნა?***

– კი, ასეა.

რაც შეეხება ეკონომიკას, საქართველოს ეკონომიკის ხელახლა გაცოცხლება შეუძლია მნიშვნელოვან დასავლურ ინვესტიციებს, რაც, როგორც ჩანს, იქნება.

# გურამ დონაძემ და ზურაბ მიქაძემ ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ მისცეს ჩვენება

გურამ დონაძემ და ზურაბ მიქაძემ ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ მისცეს ჩვენება

ბუტა რობაქიძის საქმეზე ბრალდებულ, ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ 8 აპრილს ჩვენება მსჯავრდებულებმა, შინაგან საქმეთა სამინიტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ყოფილმა უფროსმა, გურამ დონაძემ და საპატრულო პოლიციის თბილისის მთავარი სამმართველოს ყოფილმა უფროსმა, ზურაბ მიქაძემ მისცეს.

როგორც ირაკლი ოქრუაშვილის ადვოკატმა მამუკა ჭაბაშვილმა სასამართლო პროცესის შემდეგ „ინტერპრესნიუსს" განუცხადა, მსჯავრდებულებმა აღნიშნული ჩვენება საპროცესო შეთანხმების სანაცვლოდ მისცეს.

– რასაც 15 წლის შემდეგ ამბობდნენ გამოძიებაში, იგივე ჩვენება მისცეს ახლაც, საპროცესო შეთანხმების სანაცვლოდ. განსხვავებული იყო რაღაც დეტალები, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ფაქტიურად, ერთმაც და მეორემაც თქვეს, რომ „რა ვქნათ, ამდენი წელი ციხეში ვერ ვიჯდებით და ახლა ასე უნდა ვცადოთ, რომ შეღავათი მივიღოთ სახელმწიფოსგან" – ფაქტიურად მივიღეთ 2 ჩვენება საპროცესო მოლოდინში მყოფი პირების, რომლებიც ცდილობენ, რომ ამ ჩვენების შედეგად გამოვიდნენ ციხიდან, – განაცხადა მამუკა ჭაბაშვილმა.



მისივე თქმით, გურამ დონაძესა და ზურაბ მიქაძეს რამდენიმე ჩვენება აქვთ მიცემული და ყველა განსხვავდება ერთმანეთისგან. ამასთან, ადვოკატი ამბობს, რომ ამ საქმემ მას შემდეგ წამოიწია, რაც 20 ივნისის საქმეზე ოქრუაშვილი დააპატიმრეს და ამას მოჰყვა რეზონანსი.

– დონაძე აქ პირდაპირი მოწმე არაფრის არ არის, მიქაძეა, რომელმაც ინტერპრეტირება მისცა თითქოსდა ირაკლი ოქრუაშვილის სიტყვას – „პატრულის იმიჯი გადაარჩინეთო" და ეს ასე აღვიქვი, რომ იქ იარაღები უნდა მიგვეტანა და ინსცენირება მოგვეწყო ორმხრივი სროლისო, თორემ ოქრუაშვილს ეს ასე არ უთქვამსო.

2012 წელს მიქაძე დაიკითხა მოწმედ და იქ რამეს არ ალამაზებს, პირდაპირ ამბობს, რომ იარაღები არ დაუნახავთ, მაგრამ მერე მოვიტანეთ, ჩავალაგეთო, ასახელებს ბრალდებულებს და ა.შ. იმ ჩვენებაში ირაკლი ოქრუაშვილს ერთხელ ახსენებს, რომ ვანო ბერაძისგან, უფროსისგან, მიიღო ინფორმაცია, რომ მას უნდა მიეცა ინტერვიუ, დღეს უკვე ამბობს, რომ თითქოს პირადად დაურეკა მინისტრმა. ისეთ დეტალებს ამბობს, რომ ბევრს თითქოს არაფერს ცვლის, მაგრამ ამაში ჩანს, რომ იტყუება ადამიანი.

მიქაძე წინა ჩვენებაში ამბობს, რომ იარაღები მოტანილი იყო, მაგრამ არ იცის, ვინ მოიტანა, დღეს ამბობს, რომ თვითონ მოიტანა ვაკის პოლიციის სამმართველოდან. როგორ შეიძლება ეს დაგავიწყდეს, შენ წახვედი იარაღის მოსატანად თუ არ წასულხარ, თითქოს უმნიშვნელო დეტალია, მაგრამ ჩანს, რომ იტყუება. ჩვენებაში ამბობენ, რომ ოქრუაშვილის ზარის შემდეგ გადაწყვიტეს, რომ ყველაფერი ასე გაეკეთებინათ.

ძალიან ბევრი დეტალია, რომელიც მათ ჩვენებს აშიშვლებს და ერთადერთი მოტივი ამის არის, რომ აპელაციაზე ატყობენ, არაფერი გამოსდით და 7 წელი ციხეში რატომ უნდა ვიჯდეთ, ეგებ გვეშველოსო. მათი მოტივიაა საპროცესო შეთანხმება , – აცხადებს ჭაბაშვილი.

ირაკლი ოქრუაშვილს ახალი ბრალი ნოემბერში წაუყენეს. მას ბუტა რობაქიძის საქმეზე სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას ედავებიან.

ირაკლი ოქრუაშვილსა და ზურაბ ადეიშვილს ბრალი საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ" ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) წარედგინათ, რაც სასჯელის სახედ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სამიდან რვა წლამდე ვადით.

# „ექიმმა ქალს წელსზევით გაშიშვლება მოსთხოვა და მაგიდაზე დააწვინა"

## რა მოხდა მარნეულის საკარანტინე ზონაში



ორგანიზაცია „საფარის" ხელმძღვანელი ბაია პატარაია ექიმის მიერ საკარანტინე ზონაში მყოფი ქალის სექსუალური შევიწროების ფაქტს ასაჯაროვებს და დეტალებს „მთავართან" ჰყვება.

იზოლაციაში მყოფი ახალგაზრდა ქალი ექიმმა სექსუალურად კოვიდ-19-ზე შემოწმებისას შეავიწროვა.

ბაია პატარაიას ინფორმაციით, მომხდარზე ინფორმირებულია სახალხო დამცველი და საქმის შესწავლაც დაწყებულია.

საფარის დირექტორი ლოგიკურად ვარაუდობს, რომ შესაძლოა, ეს შემთხვევა პირველი არ იყოს ზემოხსენებულ ექიმთან მიმართებაში და მისთვის დროებით ლიცენზიის შეჩერებას ითხოვს.

ქალის უფლებადამცველები ამბობენ, რომ სასწრაფოს ექიმმა კოვიდ 19-ზე შემოწმებისას ქალს გაშიშვლება მოსთხოვა, როცა ამის საჭიროება საერთოდ არ არსებობდა.

შემთხვევა მარნეულში, ერთ-ერთ საკარანტინე ზონაში მოხდა.

ბაია პატარაია ამბობს, რომ ექიმმა ქალს გახადა შარვალი და საწოლზე დააწვინა.

– ექიმმა წელსზემოთ გაშიშვლება მოსთხოვა, რაზეც უარი მიიღო, მაგრამ ბიუსტჰალტერი გაუხსნა და თხელი შარვლის გახდა და დაწოლა მოსთხოვა. ხელებს ჰკიდებდა არაადეკვატურად, ასეთი გასინჯვა საერთოდ არ შედის კოვიდ 19-ის გასინჯვის პროტოკოლში. დაზარალებული ამბობს, რომ თავს შეურაცხყოფილად და დამცირებულად გრძნობდა. ექიმი ისეთი რალაცების გაკეთებას აიძულებდა, რისი გაკეთებაც მას არ სურდა, – განაცხადა პატარაიამ.

მისი ინფორმაციით, სასწრაფოს ექიმი უკვე გამოკითხულია. მისივე თქმით, ეს არ იყო პაციენტის შევიწროების ერთადერთი შემთხვევა და მსგავს ფაქტებს „საფარი" უკვე იკვლევს.

– ექიმი ამ პროცედურების ჩატარებას ადასტურებს. საქმეში სხვა მტკიცებულებებიც არსებობს, თუმცა ეს ადამიანი ისევ მუშაობს, სავარაუდოდ, ისევ შედის კარანტინებში და ჩვენ არ ვიცით, რამდენი ადამიანი დგება რისკის ქვეშ... ეს არ იყო ერთადერთი შემთხვევა და ვცდილობთ სხვა დაზარალებულების დათანხმებას, რომ მათაც იჩივლონ, – აღნიშნა პატარაიამ.

ჯანდაცვის სამინისტრომ აღნიშნულზე გუშინვე გააკეთა განცხადება.

„გვსურს, გამოვეხმაუროთ რამდენიმე მედიასაშუალების მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, რომელიც საკარანტინე სივრცეში სექსუალურ შევიწროებაში ბრალდებულ პირს უკავშირდება.

ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ სექსუალურ შევიწროებაში ბრალდებული პირი არ არის ჯანდაცვის სამინისტროს ან/და საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის თანამშრომელი.

სამინისტრო, შესაბამის ორგანოებთან ერთად, მოახდენს აღნიშნული საკითხის მუდმივ მონიტორინგს და გამოძიების შედეგის შესაბამისად, შემდგომ რეაგირებას" – ნათქვამია განცხადებაში.

# შინაგან საქმეთა მინისტრმა, პრემიერ-მინისტრთან ერთად 112-ის და 144-ის ცენტრი დაათვალიერა



შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური, მთავრობის ხელმძღვანელ გიორგი გახარიასთან ერთად საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ-112-ის და მთავრობის ერთიანი ცხელი ხაზის 144-ის ცენტრში იმყოფებოდა და სამუშაო პროცესს გაეცნო. შინაგან საქმეთა მინისტრის თქმით, 112-ის და 144-ის ცენტრები გამართულად მუშაობს და ამ ეტაპზე გადატვირთულობის პრობლემა არ არსებობს.

– დატვირთვის ნამდვილად არ გვეშინია, აქ შემთხვევით რაიმე პრობლემა რომ იყოს, სხვადასხვა ლოკაციებიც გვაქვს მოწყობილი. აქ რეკომენდაციები დაცულია, სიცხესაც ზომავენ და დამცავი საშუალებებიც არის. თუმცა მაინც, რომ მოხდეს რაიმე, კერა რომ აღმოჩნდეს, გვაქვს დამატებითი ლოკაცია გამზადებული, სადაც შეგვიძლია ავტომატურად გადავიდეთ და იქიდან განვაგრძოთ მუშაობა, იმის პრობლემა, რომ რაღაც მოხდეს, დავიტვირთოთ და ვერ ავუვიდეთ, არ გვაქვს, – განაცხადა შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა.

# შინაგან საქმეთა სამინისტრომ საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევის 115 ფაქტი გამოავლინა




პოლიცია, საქართველოს მთავრობის მიერ საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში ზომების მნიშვნელოვანი გამკაცრების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების მოთხოვნების აღსრულების და ე.წ. კომენდანტის საათის ფარგლებში დაწესებული შეზღუდვების დამრღვევი პირების გამოვლენის მიზნით, 24-საათიან რეჟიმში მუშაობას განაგრძობს. შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების თანამშრომლები, ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების აღკვეთისა და პრევენციის მიზნით, სამართალდარღვევის ყველა ფაქტზე ოპერატიულად რეაგირებენ.

ბოლო 24 საათის განმავლობაში, სამართალდამცველების მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, მთელი ქვეყნის მასშტაბით, საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის და ე.წ. კომენდანტის საათის შეზღუდვების დარღვევის 115 ახალი ფაქტი გამოვლინდა.

პოლიციამ, 8 აპრილის 21 საათიდან 9 აპრილის დილის 6 საათამდე, ე.წ. კომენდანტის საათის დარღვევის ფაქტზე, მთელი ქვეყნის მასშტაბით 73 მოქალაქე დააჯარიმა.

გარდა ამისა, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, საჯარო სივრცეში 3-ზე მეტი პირის შეკრების შეზღუდვის და 2-მეტრიანი სოციალური დისტანციის დაუცველობის გამო, სულ 15 მოქალაქე დააჯარიმა.

სამართალდამცველებმა მგზავრთა გადაყვანისა და ავტომობილით გადაადგილების წესის დარღვევის ფაქტზე კიდევ 27 პირი დააჯარიმეს.

შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ მოუწოდებს მოქალაქეებს, დაიცვან საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში დაწესებული შეზღუდვები, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული, შესაბამისი ზომები.

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია, დაიცვას საგანგებო რეჟიმი და დაემორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს.

საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას – ფიზიკური პირის დაჯარიმებას 3 000 ლარით, ხოლო იურიდიული პირის – 15 000 ლარით.

# ვახტანგ გომელაური: „შევჯერდებით ისე, რომ კანონს არ დავარღვევთ არც ჩვენ და არც ეკლესია"



შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ 112-ში ვიზიტის შემდეგ ჟურნალისტების შეკითხვებს უპასუხა და განაცხადა:

– ალბათ, შევჯერდებით ისე, რომ არ დავარღვევთ კანონს არც ჩვენ და არც ეკლესია.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, მთავრობა და შინაგან საქმეთა სამინისტრო საპატრიარქოსთან თანამშრომლობენ და ერთად მიიღებენ საბოლოო გადაწყვეტილებას.

– რომ გითხრათ, ამ თემაზე ბოლომდე შევჯერდით საპატრიარქოსთან, რომ ასე გადავწყვიტეთ-მეთქი, არა, თუმცა, დარწმუნებული ვარ, შევჯერდებით ისე, რომ არც კანონი დაირღვეს და მომლოცველები მოვიდნენ და ილოცონ. ალბათ, შევჯერდებით ისე, რომ არ დავარღვევთ კანონს არც ჩვენ და არც ეკლესია.

მინდა, ხაზი გავუსვა, რომ საპატრიარქო ძალიან კარგად გვეთანამშრომლება, ერთად ვმუშაობთ ამ პრობლემის შესახებ. გვერდში გვიდგანან მეუფეებიც, უწმინდესიც. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო საპატრიარქოს გვერდში დგომისთვის, – განაცხადა გომელაურმა.

შეკითხვაზე, სააღდგომო ღამისთევაზე მისული მრევლი დაჯარიმდება თუ არა, ვახტანგ გომელაურმა უპასუხა:

– კანონს ესენი არ არღვევენ და ყველაზე კარგად იცავენ, მერწმუნეთ, თუნდაც ეკლესიაში იმ დისტანციას, რასაც თუნდაც ჩვენ ახლა ვარღვევთ, სამწუხაროდ. მე ხაზი გავუსვი, რომ შევთანხმდებით საპატრიარქოსთან. თვითონ მეუფეებიც მოუწოდებენ, დაჯარიმდებით და ნუ დაარღვევთ კანონსო.

# გორში სურსათის მაღაზია გაძარცვეს



სურსათის მაღაზია გაძარცვეს გორში.

„ნიუპოსტის" კორესპონდენტის ცნობით, შემთხვევა თამარ მეფის ქუჩაზე, დღის საათებში მოხდა. მაღაზიიდან წაღებულია საკვები პროდუქტები და ჰიგიენური საშუალებები.

მაღაზიის გამყიდველის თქმით, დანაშაული ორმა ახალგაზრდამ ჩაიდინა, რომლებიც შენიღბულები იყვნენ.

მომხდარზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება ძარცვის მუხლით დაიწყო.

## ბარნი სანდერსი პრეზიდენტობისთვის ბრძოლას გამოეთიშა



ამა წლის ნოემბერში აშშ ახალ პრეზიდენტს აირჩევს. კანდიდატი რესპუბლიკური პარტიიდან კარგა ხანია ცნობილია. ეს ამჟამინდელი ქვეყნის ლიდერი დონალდ ტრამპია. რაც შეეხება მის კონკურენტს დემოკრატიული პარტიიდან, იქ პრაიმერიზს უნდა დაესახელებინა ტრამპის მეტოქე.

კანდიდატები დემოკრატიულ პარტიაში საკმაოდ იყვნენ. ერთ-ერთი ასეთი იყო კანდიდატი ბარნი სანდერსი, რომელიც დემოკრატიული პარტიის მემარცხენე ფრთას წარმოადგენს. მისი ლოზუნგები – უფასო ჯანდაცვა, მშრომელთა პირობების გაუმჯობესება და ა.შ., ტიპიური მემარცხენე იდეებია. ბევრი თვლიდა, რომ სანდერსი პრაიმერიზს მოიგებდა. ეს დემოკრატების კონკურენტ რესპუბლიკელებსაც ხელს აძლევდა.

სანდერსის მემარცხენეობამ ამერიკის საშუალო კლასი შეაშფოთა. თუ ის ტრამპის კონკურენტი იქნებოდა, მოქმედ პრეზიდეტს გამარჯვება არ გაუჭირდებოდა.

სანდერსი კარგა ხანს ლიდერობდა. ერთგვარი შემობრუნების ქვაკუთხედი სუპერ სამშაბათი გახდა. იქ ბაიდენმა მნიშვნელოვან გამარჯვებას მიაღწია. აშშ-ის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტიც, რომელსაც ბევრი უკვე გუშინდელი დღის ადამიანად მიიჩნევდა, კვლავ წანა პლანზე გამოვიდა. ის გამოიკვეთა, როგორც ლიდერი. სანდერსსაც მისივე თანამოაზრენი ურჩევდნენ, პრეზიდენტობისთვის ბრძოლა შეეწყვიტა.

სანდერსმაც უსიამოვნო, მაგრამ აუცილებელი გადაწყვეტილება მიიღო: ის საპრეზიდენტო მარათონს გამოეთიშა.

## პრემიერი კონტე: „აპრილის ბოლოს იტალია კარანტინს შეარბილებს“



იტალიის პრემიერ-მინისტრი, ჯუზეპე კონტე მისი მთავრობის მიმართ კრიტიკას გამოეხმაურა.

კონტეს კრიტიკოსები ამბობენ, რომ ქვეყანამ სათანადოდ მკაცრი ზომები ვერ მიიღო კორონავირუსის წინააღმდეგ ბრძოლის დროს.

– დრო რომ უკან დაბრუნდეს, იგივეს გავაკეთებდი. ჩვენ ჩინეთისგან სრულიად განსხვავებული სისტემა გვაქვს. ჩვენთვის კონსტიტუციური თავისუფლების შეზღუდვა კრიტიკული გადაწყვეტილება იყო და ის ძალიან ფრთხილად უნდა მიგვეღო. ჩვენ მკაცრი კარანტინი და კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვა თავიდანვე რომ დაგვეწესებინა, როცა პირველი კლასტერები გაჩნდა, ხალხი გიჟად ჩამთვლიდა, – აღნიშნა კონტემ.

მისივე თქმით, ქვეყანაში მოქმედი კარანტინის მკაცრი რეჟიმი თვის ბოლოს შემსუბუქდება. ბოლო პერიოდში ახალი შემთხვევების რიცხვმა მხოლოდ 1%-ით მოიმატა, როდესაც გასულ კვირას ეს მაჩვენებელი 7% იყო.

იტალიის მთავრობა არაერთხელ გააკრიტიკეს არასათანადოდ მკაცრი ზომების მიღების გამო. ჩინეთის წითელი ჯვრის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა რამდენიმე კვირის წინ განაცხადა, რომ ქვეყანაში შეზღუდვები რეალურად არ მოქმედებდა.

## „ესპანეთი ვირუსის დამარცხებას იწყებს, ომი სრული გამარჯვებით დასრულდება!“



– ესპანეთის ბოლო მონაცემები კორონავირუსთან დაკავშირებით იმედისმომცემია და ქვეყანა ეპიდემიის დამარცხებას იწყებს, – ამის შესახებ ესპანეთის პრემიერ-მინისტრმა, პედრო სანჩესმა განაცხადა.

– ცეცხლი კონტროლირებადი ხდება. ვირუსის წინააღმდეგ ომი სრული გამარჯვებით დასრულდება, – განაცხადა სანჩესმა პარლამენტში სიტყვით გამოსვლის დროს.

მან ქვეყნის მოსახლეობას და ყველა რეგიონს ერთიანობისკენ მოუწოდა, რათა დროულად მოხდეს კრიზისიდან გამოსვლა.

– გთავაზობთ ეკონომიკური და სოციალური რეკონსტრუქციის პაქტს. ყველა პოლიტიკური ძალა ერთმანეთის მხარდამხარ უნდა დადგეს, – განაცხადა სანჩესმა.

## ზელენსკი უკრაინის ეკლესიის მეთაურს შეხვდა



უკრაინის პრეზიდენტმა ვლადიმერ ზელენსკიმ თავის რეზიდენციაში ავტოკეფალური ეკლესიის მეთაური, მიტროპოლიტი ეპიფანე მიიღო. საუბრის ძირითადი თემა პანდემია და ამ ფონზე აღდგომის დღესასწაული იყო.

მიტროპოლიტმა ეპიფანემ აღნიშნა, რომ კორონავირუსი კაცობრიობისთვის მოვლენილი განსაცდელია და ეს გამოცდა ღირსეულად უნდა ჩაბარდეს. ეპიფანემ ხაზი გაუსვა, რომ კორონავირუსთან ბრძოლაში ეკლესია და სახელმწიფო უნდა გაერთიანდნენ.

– ჩვენ მოვუწოდებთ მორწმუნეებს, აღდგომის წმინდა დღესასწაულზე შინ დარჩნენ! ახლა ეს აუცილებელია, – თქვა ეპიფანემ.

ზელენსკიმ უკრაინული ავტოკეფალური ეკლესიის მეთაურს სრული მხარდაჭერა და თანადგომა გამოუცხადა. პრეზიდენტმა გამოთქვა იმედი, რომ მომავალშიც უკრაინული ეკლესია და სახელმწიფო ერთად იმოქმედებენ.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## კარანტინიდან მთებში გაქცეული მამაკაცი დააჯარიმეს

კორონავირუსის გამო კარანტინში მყოფი საფრანგეთის მკვიდრი მთებში გაიქცა, რისთვისაც 133 ევროთი დაჯარიმდა. ამ ინფორმაციას საფრანგეთის ოსეჟის კომუნის პოლიციის განყოფილების წარმომადგენლები ფეისბუქში საკუთარ გვერდზე ავრცელებენ.

ადგილობრივი ხელისუფლების მონაცემებით, მამაკაცი მანქანით ესპანეთისკენ გაემგზავრა, მაგრამ ის საკონტროლო გამშვებ პუნქტზე მესაზღვრეებმა დააკავეს. მაშინ მან გადაწყვიტა, საზღვარი მთის ბილიკის გამოყენებით გადაელახა, მაგრამ ფეხი დაუცდა, ნაკადულში ჩავარდა, საბოლოოდ კი გზა აერია. მან დახმარებისთვის სამაშველო სამსახურს მიმართა. მის გამოსაყვანად მაშველები შვეულმფრენით გაიგზავნა.

მას შემდეგ, რაც მამაკაცი, რომლის ვინაობა არ სახელდება, უსაფრთხო ადგილზე გადაიყვანეს, მას მსხვილი ჯარიმა გამოუწერეს კარანტინის პირობების დარღვევისთვის

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ანტონ ბალანჩივაძე სავალდებულო ვაქცინაციას აპროტესტებს



მხატვარი ანტონ ბალანჩივაძე საქართველოში 60 წელს გადაცილებული მოქალაქეების სავალდებულო ვაქცინაციას აპროტესტებს:

– ყურადღებით!

დაიწყო! – ზუსტად ამაზე ვწერდი აქამდე...

ჯანდაცვის მინისტრმა განაცხადა:

„ეტაპობრივად მოვიცავთ 60 წელს გადაცილებულ ჩვენს ყველა მოქალაქეს და არის მსჯელობა იმის თაობაზეც, რომ ეს შევიდეს საქართველოში სავალდებულო ვაქცინაციის ჯგუფში და მოხდეს ყოველწლიურად შესაბამისი მონაკვეთების განახლების შემდეგ ამ ვაქცინის განახლება მოქალაქეებში“.

საქართველოში ამ ამბების ინიციატორებს მინდა მივმართო: არც იფიქროთ ამის გაკეთება! არავითარი აცრები სავალდებულო კატეგორიას არ მიეკუთვნოს! ესაა სამკვდრო-სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხი! ვიცი, რომ ძალიან სამწუხაროდ, არაერთი ადამიანი, ჩემი პირადი ნაცნობიც, სიხარულით ელოდება ყველა სახის ახალ ვაქცინას და აცრას, მაგრამ ბევრიც შეაკვდება ამ ამბავს! მინდა სიფხიზლისკენ მოგიწოდოთ, ვისაც ეხება!

ყველა თავად აირჩევს, რას იზამს და როგორ. ადამიანის არანებაყოფლობითი ვაქცინაცია არის დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ! კატეგორიულად მოგმართავთ – როგორც მოქალაქე, როგორც ადამიანი: არც იფიქროთ!

## მაია დარსმელიძეს ზოგი „ცნობადის“ პოპულისტური აქტივობა გულს ურევს



მომღერალი მაია დარსმელიძე არ მალავს, რომ ზოგი „ცნობადის“ პოპულისტური აქტივობა გულს ურევს:

– ვუყურებ ზოგი „ცნობადის“ გულისამრევ პოპულისტურ აქტივობას და ფრიად არაპოპულარული პოსტის მუზა მეწვია.

ამას ბევრი ადრესატი წაიკითხავს და გაატარებს, მაგრამ მაინც ვწერ. მკიდია.

ვერაფერი გვეშველება, სანამ „კოლეგები“ ბნელი მავნებელი სელებრითების, ცნობადების, სპორტსმენების, მომღერლების, მსახიობების, მოცეკვავეების ან მეხაშეების ბნელ და მავნებლურ ქმედებას უხერხულობის ან უტვინობის გამო ვატარებთ, ან, უარესი, მათ ყოვლად ზიანის მომტან იდიოტობას შედევრად ვაზიარებთ და ვეხმარებით ჩამოუყალიბებელი ადამიანების დადებილებაში.

მომბეზრდა, რომ ამ „სფეროდან“ მხოლოდ მე ვარქმევ ყველას თავის სახელს და დანარჩენები დებილური კოლეგიალობით გამოწვეული უხერხულობისგან ხმას არ იღებენ. მერე ის უნიჭო ბნელები ერთიანდებიან და ბედნიერად თანხმდებიან, რომ მათ ყველაფერი რიგზე აქვთ და მე უბრალოდ უმძიმესი, ტერორისტულ-ექსტრემისტული ხასიათი მაქვს და ყალბ, პოპულისტ და ხალტურშიკ გულზეც მააგრა ეშვებათ.

მე განზე ვარ, იმიტომ, რომ ამ თქვენს სიყალბეს ვერ ვიტან და მაააგრად არ მევასებით, მაგრამ თქვენთვის მაინც არ გიტყდებათ და არ გინდათ ოდესმე დაფიქრდეთ, როდემდე უნდა გაატაროთ ეს უმსგავსი მავნებელი სიბნელე და თქვენი კრეტინული კოლეგიალურობით აპრავოთ?

თუმცა, ალბათ იმიტომ აპრავებთ, რომ, როდესაც თქვენ საკუთარ შედევრალურ სირობას გააზიარებთ – სწორედ ამავე უნიჭო კოლეგიალურობით და ამგვარი „ურთიერთვიგოდით“ მოპოვებული ყალბი ბრავო ბისებით იქმნით მასშტაბური მოწონების და გენიალურობის ილუზიას.

ოეე, ფრიად კოლეგიალურებო, ნუთუ საკუთარ უმოქმედო თავზე გული არ გერევათ, როდესაც თქვენი „უკონფლიქტო“ და მუდამ „პოზიტიური“ იმიჯით ხელს არ უშლით ამ ბნელი ავტორიტეტების ვილაც, ასეთივე „კოლეგიალურის“ დახმარებით სრულიად შემთხვევით და უსაფუძვლოდ აშენებულ „გავლენას“? ნუთუ არ გიტყდებათ, რომ მაშინ, როდესაც ვიღაც „ლოკალური სთარის“ სიდებილეს თუნდაც ერთი ან ორი გულწრფელი ადამიანი ჰყავს, რომელიც მათ სიტყვას აქსიომად მიიჩნევს და ამ მენტალურ ტრაკში ბრმად მიყვება, ამ ერთი ან ორი ადამიანის აზროვნების დამახინჯებისთვის პასუხისმგებლობის მილიმეტრიც არ გაგაჩნიათ?

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## გარდაცვლილი პოლიტიკოსი ავტომობილით დაასაფლავეს



სამხრეთ აფრიკის აღმოსავლეთ კაპსკის პროვინციის ქალაქ სტერკსპრუტში გარდაცვლილი პოლიტიკოსი და ბიზნესმენი საფლავში თეთრი ფერის მერსედეს ბენც E500-ით ჩაასვენეს.

72 წლის ჩეკედე პიცო, ექვსი შვილის მამა, პოლიტიკურ პარტიას „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა“ წარმოადგენდა. პოლიტიკოსი გასულ კვირას ბუნებრივი მიზეზებით გარდაიცვალა, როდესაც სახლთან გაჩერებულ მანქანასთან მიდიოდა რადიოს მოსასმენად.

– ოდესღაც მამაჩემი წარმატებული ბიზნესმენი იყო და მერსედესების მთელი ავტოპარკი ჰქონდა, – განაცხადა გარდაცვლილის შვილმა, 49 წლის სეფორა ლეტსვაკამ, – თუმცა მისი სიცოცხლის ბოლოს არცთუ კარგი დროება დაუდგა და მანქანების გაყიდვა მოუხდა.

ორი წლის წინ პიცომ ნახმარი, 1990 წელს გამოშვებული მერსედეს ბენცი E500 შეიძინა.

– ის მასთან დიდ დროს ატარებდა, ჩხირკედელაობდა, მაშინაც კი, როდესაც მანქანა მწყობრიდან გამოვიდა, მამა თავს მაინც ბედნიერად გრძნობდა იმით, რომ მანქანის სალონში იჯდა. მან ითხოვა, რომ ამ მანქანით დაგვესაფლავებინა, – განმარტა ლეტსვაკამ.

მესაფლავეებმა ორ მეტრზე მეტი სიღრმის საფლავი ამოთხარეს, რათა შემდეგ შიგნით მიცვალებულჩასვენებული ავტომობილი ჩაეგორებინათ. პიცოს უჩვეულმა დასაფლავებამ საზოგადოების ყურადღება მიიპყრო.

– ჩვენ არასოდეს დაგვისაფლავებია მიცვალებული ავტომობილით, – აღიარეს დამკრძალავ ბიუროში, – წინასწარი გათვლების გაკეთება დაგვჭირდა იმისთვის, რომ მანქანა საფლავში მოთავსებულიყო. ხელისუფლებისგან დასაფლავებაზე ოფიციალური ნებართვა მივიღეთ.

## ზოოპარკში ძუ ვეფხვი ადამიანისგან დაინფიცირდა



მსოფლიოში პირველად ძუ ვეფხვი კორონავირუსით ადამიანისგან დაინფიცირდა. დაავადებულია ნიუ-იორკის ზოოპარკის მკვიდრი ოთხი წლის მალაიური ძუ ვეფხვი, სახელად ნადია.

ცხოველი დააინფიცირა ზოოპარკის თანამშრომელმა, რომელიც მისი მოვლით იყო დაკავებული. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ მას შესაძლოა კორონავირუსის სიმპტომები არ ჰქონოდა,

ასევე ვრცელდება ინფორმაცია, რომ ნადიას დას, სახელად აზულს, ორ ამურის ვეფხვს და ასევე სამ აფრიკულ ლომს მშრალი ხველა დაეწყოთ და მათ კოვიდ-19-ზე ტესტი ჩაუტარდებათ.

## განცხადებები

● ვაქირავებ 2-ოთახიან, კეთილმოწყობილ, იზოლირებულ ბინას სტუდენტი გოგონასთვის. მისამართი: ნინოშვილის 57/კონსტიტუციის 13. ტელ.: 599-294-293.

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● სექსუალური აშლილობებით დაავადებულთა მკურნალებს: შევწყვიტე რა პაციენტების მიღება, შემომრჩა „ერექტორები“, რომელიც აწესრიგებს სექსუალურ შეუთავსებლობებს წყვილთა შორის და თვით სქესობრივად უძლურ მამაკაცებშიც. „ერექტორის“ შესახებ ცნობები შეტანილია უროლოგიისა და სექსოლოგიის სახელმძღვანელოებში. იყიდება სიმბოლურ ფასად. ტელ.: 593-60-60-44; 299-95-33. იკითხეთ ექიმი მერაბი.

# ზაზა ფაჩულია: „მაშინ ყველას ვანადგურებდით“



ალბათ დაგვეთანხმებით, რომ ქართველ კალათბურთელ ზაზა ფაჩულიას დიდი წარდგენა არ სჭირდება. ეგ კი არა, უკვე მოგვენატრა კიდევაც მისი ლიდერობით ჩვენი ნაკრების მიერ ჩატარებული მატჩების ხილვა.

საქართველოს ნაკრები ერთია და ფაჩულია არც ნბა-ში იყო „უცნობი“. ორგზის საჩემპიონო ბეჭდის მფლობელზე ბევრი რამის თქმა შეიძლება. ამასთან, იმ გოლდენ სტეიტის ღირსებას იცავდა, რომელსაც ყველა დროის საუკეთესო გუნდზე აქვს პრეტენზია.

უორიორსმა 2016-17 წლების ჩემპიონატი სან ანტონიოსთან მარცხით დაიწყო, მომდევნო 17-დან კი 16 მოიგო. გოლდენ სტეიტმა 59 მატჩი (აქედან – 50 მოგება) ისე ჩაატარა, რომ ზედიზედ 2 თამაში არ წაუგია.

საბოლოოდ, ფაჩულიამა და მისმა თანაგუნდელებმა რეგულარული სეზონი 67 მოგებითა და 15 მარცხით დაასრულეს. ფლეი ოფში კი 15 მატჩი მოიგეს, სულ კი, 16 გამარჯვება და ერთადერთი წაგება ჰქონდათ.

ქართველ კალათბურთელს ენბისი-სპორტი დაუკავშირდა.

ფაჩულიაც, რომელიც მოედანზე კლეი ტომპსონის, კევინ დურანტის, სტეფ კარის, დრეიმონდ გრინისა და ანდრე იგუდალას მხარდამხარ ირჯებოდა, იმ სეზონს აღფრთოვანებით იხსენებს.

**ზაზა ფაჩულია:**

– ახლაც კი, როდესაც ყველა გუნდს ვაკვირდები, ვერავის გამორჩეულს ვერ ვხედავ. 30 გუნდიდან არც ერთია, რომელიც იმ სეზონის გოლდენ სტეიტთან ახლოს მივიდოდა. ალბათ, ცოტა ეგოისტურად გამომდის, თუმცა, უნდა ვთქვა. ის ატმოსფერო, ენერგია, გუნდური სული, უბრალოდ კალათბურთის სტილი, რომელიც ჩვენ გვქონდა, განუმეორებელია. არა მგონია, ახლო მომავალში ასეთი რამ კიდევ ვიხილოთ. ცხადია, მხოლოდ ბიჭების ტალანტზე არ ვსაუბრობ. ან კი, ამაზე რა უნდა ვთქვა? რა შემადგენლობა გვყავდა, ყველამ იცის. უბრალოდ, სიგიჟე იყო, გესმით? მისმინეთ, ჩვენი დარბაზის პარკინგზე მარჯვნივ კევინ დურანტის მანქანა მედგა, მარცხნივ – სტეფ კარის. ხომ საოცარია. ეს ახლაც მაგიჟებს.

გასაკვირი არაა, რომ ზაზა წარსულის ამბებს აღფრთოვანებული იხსენებს. 2014-19 წლების უორიორსის ამბებზე, იმედგაცრუებასა თუ აღზევებაზე, ალბათ, როდესმე დოკუმენტურ ფილმსაც გადაიღებენ. ეს ნამდვილად არის ის ისტორია, რომლის დავიწყებაც არ შეიძლება.

ვარსკვლავებით სავსე გოლდენ სტეიტში მცირე უთანხმოებებიც ხდებოდა, თუმცა, იყო 2 ადამიანი, რომლებიც ყველანაირ სიტუაციაში სიმშვიდესა და საღ აზრს ინარჩუნებდნენ. ისინი ზაზა ფაჩულია და კლეი ტომპსონი იყვნენ, კარგი მეგობრები, რომლებიც გუნდური სულის შენარჩუნებას ყოველთვის ხელს უწყობდნენ.

უორიორსის ერთიანობის სიმბოლოდ ფოტო იქცა, რომელიც სტეფ კარის მიერ ორგანიზებულ საღამოს დრონის საშუალებით გადაიღეს. ამ ამბავს ქართველი სიცილით იხსენებს.

– კი, ასეთი ამბავი მართლაც მოხდა. გვინდოდა, რომ ერთ ფოტოში ყველა კალათბურთელი გამოჩენილიყო, მაგრამ როდესაც ამდენი მაღალი ბიჭი ერთად იკრიბება, ძნელია, ჩვეულებრივი კუთხით ყველა ჩაატიო. სწორედ ამიტომ დრონი ავაფრინეთ და ფოტო ასე გადავიღეთ.

„მეომრების“ დიდებული სეზონი წინა წელს წაგებული ფინალის გამოძახილიც იყო. 2016 წელს გადამწყვეტ სერიაში მარცხი იმდენად მწარე იყო, გოლდენ სტეიტს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, ტიტულის გარეშე აღარ დარჩენილიყო. ასეც მოხდა და შექმნა გუნდი, რომელსაც უკვე ამერიკის უდიდესი ჩემპიონების გვერდში აყენებენ, როგორებიც არიან 1927 წლის ბეისბოლის გუნდი ნიუ იორკ იანკისი, 1972 წლის ამერიკული ფეხბურთის გუნდი მაიამი დოლფინსი და 1985 წლის ასევე ამერიკული ფეხბურთის გუნდი ჩიკაგო ბეარსი... მართლაც ლეგენდარული სიაა.

– ახლა, როდესაც გაცილებით მეტი დრო მაქვს, ძველი მატჩების სანახავად ხშირად ვიცლი. შემიძლია, ყველა მომენტით დავტკბე. როდესაც გვერდით ისეთი მსროლელები მყავდა, რომ მათთვის ბლოკები დამეყენებინა და სივრცე გამეხსნა, უკეთესს ვერაფერს გავაკეთებდი... ყველას ვუგებდით, უფრო სწორად, ყველას ვანადგურებდით. ისე კი, იმ გუნდის გასახდელში უნდა ყოფილიყავი, არსებული სიტუაცია სრულად რომ შეგეგრძნო. ადამიანებს ყოველთვის ბევრი კითხვა ჰქონდათ, ამდენად, მინდა ხოლმე ყველაფერი დეტალებში მოვყვე. ჩვენი მეგობრობა, ურთიერთობები, ერთმანეთზე ზრუნვა, მხიარულება. ეს, ყველაფერი ფასდაუდებელი რამაა.

# დემბელეს გზა იტალიისკენ მიდის



ბარსელონას ფრანგი შემტევის, უსმან დემბელეს შეძენით იტალიური გუნდები დაინტერესდნენ. იტალიური გამოცემების ცნობით, 22 წლის ფეხბურთელის დამატების სურვილს ინტერი და იუვენტუსი გამოთქვამენ. სერია ა-ს გრანდები ბარსელონას, ოფიციალური წინადადებით, უახლოეს მომავალში მიმართავენ.

ერთი რამ, რაც გადაჭრით შეგვიძლია ვთქვათ, არის ის, რომ ზაფხულში, ბარსას შემტევი დატოვებს. ამის მიზეზი გუნდში შემტევების სიმრავლეა. ამჟამად, გუნდში ანტუან გრიზმანი, ლიონელ მესი, მარტინ ბრეითუეიტი, ანსუ ფატი, ლუის სუარესი და უსმან დემბელე ირიცხებიან, მომდევნო სეზონიდან კი მათ ფრანსიშკუ ტრინკაუ შეუერთდება. ასევე სერიოზული მუშაობა მიდის ლაუტარო მარტინესისა და ნეიმარის ტრანსფერებზეც. აქედან გამომდინარე, ბარსას ერთი ან რამდენიმე თავდამსხმელის გაყიდვასთან შეგუება მოუწევს.

იტალიური მედიის ინფორმაციით, დემბელეს, რომელსაც კლუბთან კონტრაქტი 2022 წლამდე აკავშირებს, ბარსელონა დაახლოებით 70 მილიონ ევროდ შეელევა.

იტალიურ მედიაში ასევე აქტიურად განიხილავენ ჯიჯი დონარუმასა და ფედერიკო ბერნარდესკის გაცვლას.

ტურინელთა 33 ნომერმა ვერა და ვერ მოახერხა მაურისიო სარის სათამაშო მოდულთან ადაპტირება. აქედან გამომდინარე გაჩნდა მედიაში ცნობები, რომ იტალიელი ტურინს მალევე დატოვებს.

მილანს თავის მხრივ დონარუმას კონტრაქტთან პრობლემები აქვს, რომელიც ძალაში 2021 წლამდე არის. შესაბამისად, არაა გამორიცხული, თუ მხარეებმა საერთო ენა ვერ მონახეს, მაშინ მომავალ წელს ჯიჯი როსონერიდან საერთოდ უფასოდ წავიდეს.

ფედერიკოს შესაძლებლობებს კი როსონერის მესვეურები განსაკუთრებულად აფასებენ და აქედან გამომდინარე, შესაძლოა მხარეებმა კონსენსუსს მიაღწიონ.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# მიკელ არტეტა სამუშაოს უბრუნდება



არსენალის მთავარმა მწვრთნელმა მიკელ არტეტამ კორონავირუსი თითქმის დაამარცხა და ის მალე სამუშაოს დაუბრუნდება.

არტეტამ განცხადება გააკეთა და თქვა, რომ ის თავს კარგად გრძნობს და სურს მადლობა გადაუხადოს ყველას მხარდაჭერისთვის. გარდა ამისა, არტეტამ თქვა რომ ის აკონტროლებს თავისი ფეხბურთელების რეჟიმს და არსენალის ყველა მოთამაშე ინდივიდუალურად ვარჯიშობს.

პრემიერლიგა 30 აპრილამდე შეჩერებულია, თუმცა, სავარაუდოდ, ეს ტურნირი მაისის ბოლომდე არ განახლდება.

არსენალი სატურნირო ცხრილში მეექვსე ადგილს იკავებს.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

# ევროპირველობის ფორმატი შეიცვლება



ყველასთვის ცნობილია, რომ 2020 წელს გასამართი ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი 12 ქალაქში უნდა გამართულიყო – მიუნხენში, რომში, ბაქოში, სანკტ-პეტერბურგში, კოპენჰაგენში, ლონდონში, გლაზგოში, ამსტერდამში, ბუქარესტში, ბილბაოში, დუბლინსა და ბუდაპეშტში.

თუმცა, მსოფლიოში გავრცელებული პანდემიის გამო ტურნირი ერთი წლით გადაიდო. თავდაპირველად ფიქრობდნენ, რომ ფორმატი იგივე უნდა დარჩენილიყო, მაგრამ სადღეისო მდგომარეობის შედეგად, მის შეცვლაზეც ალაპარაკდნენ.

საქმე ის არის, რომ კორონავირუსის ყველაზე მასშტაბურად გავრცელებული ქვეყნების, იტალიისა და ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციებმა ტურნირის მასპინძლობა ეჭვქვეშ დააყენეს. ასევე ირკვევა, რომ კიდევ 10 სტადიონზე 2021 წლის ზაფხულში უამრავი არასაფეხბურთო ღონისძიებაა დაგეგმილი.

ბრიტანულ მედიაში გავრცელდა ცნობები, რომ, დიდი შანსია ევროპის ჩემპიონატის მასპინძელი ქალაქების რაოდენობა შემცირდეს, შეიცვალოს და სხვა ფორმატი მიეცეს.

უეფაში ამბობენ, რომ ევროპის ჩემპიონატი 2021 წლის 11 ივნისს უნდა დაიწყოს და 11 ივლისს უნდა დასრულდეს. მათი მიზანია, რომ ფორმატი და მასპინძელი ქალაქები არ შეიცვალოს. თან დასძენენ, რომ ყველა მასპინძელ ქალაქთან მუდმივ კონტაქტში არიან და იმედოვნებენ, რომ არაფერი იქნება შესაცვლელი.

არადა, შანსი დიდია, რადგან კრიზის გამო ბევრმა ქალაქმა, შესაძლოა, მასპინძლობა ვერ მოახერხოს.

შეგახსენებთ, რომ ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის ჩინებული შანსი აქვს საქართველოს ნაკრებს. ვლადიმირ ვაისის გაწვრთნილმა გუნდმა ფლეი ოფის მატჩები შემოდგომაზე უნდა გამართოს, რომელიც აქამდე ორჯერ გადაიდო – ჯერ მარტში, შემდეგ კი, ივნისში.

# 51 წლის ცოლ-ქმარი კორონავირუსისგან ექვსწუთიანი ინტერვალით გარდაიცვალა



ცოლ-ქმარი, რომელთაც ქორწინებაში 51 წელი გაატარეს, კორონავირუსის ინფექციისგან ექვსწუთიანი შუალედით გარდაიცვალნენ. ამის შესახებ ტვიტერში საკუთარ გვერდზე მათმა შვილმა ბადი ბეიკერმა დაწერა.

ბეიკერის თქმით, მისი 74 წლის მამა სტიუარტი და 72 წლის დედა ედრიანი კორონავირუსით გამოწვეული გართულებების შედეგად 29 მარტს გარდაიცვალნენ.

– ჩვენ ვცხოვრობთ სამყაროში, სადაც ყველა ასე მსჯელობს: „ეს ჩვენ არ შეგვეხება, ჩემს ოჯახში ასეთი რამ არ მოხდება“. რა გაეწყობა, ეს ჩვენ შეგვეხო, – დაწერა გარდაცვლილების შვილმა, – ვფიქრობ, უკვე დროა მივხვდეთ, რომ ყველაფერი გაცილებით სერიოზულადაა. იქნებ ჩვენი ოჯახის ტრაგედიამ აიძულოს ადამიანები, დაფიქრდნენ და სწორი გადაწყვეტილება მიიღონ.

ჟურნალისტებთან საუბარში ბეიკერმა განაცხადა, რომ მისი მშობლები საავადმყოფოში 19 მარტს მივიდნენ. ექიმმა ისინი გასინჯა და მათ მსუბუქი ფორმის ფილტვების ანთების სიმპტომები გამოუვლინა. სტიუარტი საავადმყოფოში მოათავსეს, ვინაიდან მას ასთმა აწუხებდა, ხოლო მისი მეუღლე სახლში გაუშვეს თვითმკურნალობაზე. სტიუარტს კოვიდ-19 ტესტირება ჩაუტარდა და შედეგი დადებითი აღმოჩნდა. მოგვიანებით, მდგომარეობის გართულების გამო, ის რეანიმაციაში გადაიყვანეს.

ედრიანის მდგომარეობაც დღითიდღე უარესდებოდა და ოჯახმა მისი საავადმყოფოში მოთავსების გადაწყვეტილება მიიღო. იქ მას ასევე კოვიდ-19 დაუდგინდა. ექიმებმა ბეიკერი გააფრთხილეს, რომ მისი ორივე მშობელი კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფებოდა და გადარჩენის შანსები აღარ იყო. მათ შევთავაზე მათი ფილტვების ხელოვნური ვენტილაციიდან გამორთვა, რათა მათთვის ბუნებრივი სიკვდილით გარდაცვალების საშუალება მიეცათ.

– ერთადერთი, რაც ვთხოვეთ, ის იყო, რომ ისინი ერთ პალატაში მოეთავსებინათ, – განმარტა შვილმა. 29 მარტს აპარატურიდან გამორთვის შემდეგ ცოლ-ქმარი ხელიხელჩაკიდებულები ექვსი წუთის ინტერვალით გარდაიცვალნენ.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. მტვერსასრუტის გამომგონებელი ბრიტანელი მექანიკოსი; 2. დანალექი, შლამი მდინარის, ტბის ფსკერზე; 3. ოსური ხაჭაპური; 4. ისტორიული სამთავრო დასავლეთ საქართველოში; 5. თეატრის ძველი ქართული სახელწოდება; 8. მდინარე კახეთში ; 9. სისხლის წნევისა და გულის მოქმედების დაქვეითება, რომელსაც თან სდევს გონების დაკარგვა; 10. ნოდარ დუმბაძის რომანი; 12. კუთხე საქართველოში; 13. ტაილანდის ძველი სახელწოდება; 15. უილიამ შექსპირის ტრაგედია.

**თარაზულად:** 1. მინერალური წყალი ჯავაში; 6. კომუნიკაციის საშუალებათა გაზეთი, ჟურნალი, ტელევიზია და რადიოს საერთო სახელწოდება; 7. სატანვარჯიშო იარაღი; 10. წვრილი ხმა მრავალხმიან სიმღერაში; 11. სატრფიალო პოეზიის მუზა ბერძნულ მითოლოგიაში; 13. ძველებური ქართული კაჟიანი თოფი; 14. ავტოდრომი იტალიაში; 16. უბანი თბილისში; 17. გვერდის წახნაგის სიმაღლე წესიერ პირამიდაში; 18. სისხლის ნებაყოფლობითი გამღები.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. თარჩია; 2. უწერა; 3. ლოსი; 5. „ვაშაში“; 6. წნევა; 7. ბომარშე; 11. ზარზმა; 13. „ალიგოტე“; 14. ჯიხვი; 15. პორტალი; 16. მუტრუკი; 17. ამპერი; 19. ასადი; 20. „მახა“.

**თარაზულად**: 1. თხუნელა; 4. ცეკვა; 8. სიონი; 9. შალე; 10. ჩაროზი; 12. ხალვაში; 14. ჯაზი; 15. პეკინესი; 16. მახტა; 18. „ტარტრა“; 21. პირეი; 22. კოლხეთი; 23. დურბანი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. მეოტიდა; 2. დუაიენი; 3. „მისტრალი“; 4. გელათი; 5. ლონდონი; 8. ბიუჯეტი; 9. კარამელი; 12. ორატორია; 13. შნიცელი; 16. კოალიცია; 17. „მაესტრო“; 19. ისინდი; 20. შალახო.

**თარაზულად**: 6. ხევსურეთი; 7. სექტორი; 8. ბატიკა; 10. ბიზნესი; 11. მომა; 14. ბანკნოტი; 15. ტალახაძე; 18. „ბოჟოლე“; 21. „სალომეა“; 22. შაშვი; 23. იამოტო; 24. კაბელტოვი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

10 აპრილი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1794

ევრო — 3.4576

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.9227

100 რუსული რუბლი — 4.2035

## ამინდის პროგნოზი 10 აპრილისთვის




## ჯორდან ჰენდერსონი: „ვირუსს ერთად უნდა ვებრძოლოთ“



ლივერპულის კაპიტანმა ჯორდან ჰენდერსონმა განაცხადა, რომ საზოგადოების ყველა წევრი უნდა გაერთიანდეს და ვირუსს ერთად ებრძოლოს.

ჰენდერსონის აზრით, ფეხბურთელებს აქვთ შესაძლებლობა, რომ ამ საქმეში თავიანთი წვლილი შეიტანონ:

– ფეხბურთელებს ფინანსური რესურსი საკმაოდ მაღალი გვაქვს, ამიტომ აუცილებლად უნდა ჩავრიცხოთ თანხა იმ ფონდებში, რომლებიც კორონავირუსს ებრძვიან. ეს ჩვენი მოვალეობაა, ისევე საზოგადოების სხვა წევრების.

ჰენდერსონმა ასევე დაამატა, რომ მას ფეხბურთი ძალიან ენატრება.

## კოუტინიო შესაძლოა ჩელსიში გადავიდეს



ბრაზილიელი ნახევარმცველი ფილიპე კოუტინიო შესაძლოა ლონდონის ჩელსიში გადავიდეს.

ამჟამად კოუტინიო მიუნხენის ბაიერნში არის განათხოვრებული და ბაიერნს მისი გამოსყიდვა არ სურს. ბარსელონას ასევე არ უნდა ბრაზილიელი ნახევარმცველის დაბრუნება, ამიტომ დიდი ალბათობით ზაფხულში კოუტინიო ახალ გუნდში გადავა.

ჩელსი მზად არის, მის ტრანსფერში 60 მილიონი გადაიხადოს.

კოუტინიომ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ ინგლისში სურს დაბრუნება.

## რივალდო: „მესი სხვა ევროპულ გუნდში ვერ წარმომიდგენია“



ბრაზილიელმა ლეგენდამ რივალდომ მესიზე კომენტარი გააკეთა და თქვა, რომ ვერ წარმოუდგენია მისი სხვა ევროპულ გუნდში ხილვა.

რივალდოს აზრით, მესი შესაძლოა კარიერის ბოლოს არგენტინაში დაბრუნდეს:

– სიმართლე გითხრათ, მესი ევროპის რომელიმე გუნდში უცნაური სანახავი იქნება და არა მგონია, რომ ეს მოხდეს. მესის წასვლა რომ ნდომებოდა, ამას რამდენიმე წლის წინ გააკეთებდა. არ გამოვრიცხავ, რომ ის კარიერის ბოლოს არგენტინაში დაბრუნდეს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## იუმორი

ტელეფონი რეკავს:

– ალო! სამაშველო სამსახურია?!

– დიახ, გისმენთ!

– ჩემი მეგობარი დაბოლდა, სარეცხ მანქანაში ჩაჯდა და... წავიდა...

– დამშვიდობება მოასწარით?

– ვერა.

– მაშინ, მტვერსასრუტს მოახტით და დაეწიეთ!!!

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ცოლმა დიდი ტაფის ყიდვა დამაბარა...

– მერე?

– მერე ის, რომ ახლა ვფიქრობ: ამიერიდან ბევრის ჭამა მომიწევს თუ სახლში წყნარად მოქცევა?

•••

საცობში მანქანის მინაზე აკაკუნებენ. მძღოლმა ფანჯრის მინა ჩასწია და ეკითხება:

– რა გინდათ?

– ტერორისტებმა ჩვენი პარლამენტი დაიკავეს და დეპუტატები მძევლებად აიყვანეს!

– მერე?

– 10 მილიონ დოლარს ითხოვენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათთვის ბენზინის გადასხმითა და დაწვით იმუქრებიან. და იქნებ, რითიც შეგიძლიათ, დაგვეხმაროთ?

– ხუთ ლიტრ ბენზინს მოგცემთ!..

•••

ცოლი და ქმარი ტელევიზორში ფიგურულ სრიალს უყურებენ.

ქმარი:

– ნეტა, ეს გოგო მომცა თავისუფალ პროგრამაში, დედას მო...დი

– რას ამბობ, სავალდებულოში ხომ ლოგინს ანგრევ და!!!

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– მორჩა, ახალ წელს სახლში აღარ შევხვდები!

– რატომ?

– რატომ და როგორც შეხვდები ახალ წელს, მთელ წელსაც ისე გაატარებო და აჰა...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## თორნიკე ყიფიანი და ბარბარა სამხარაძე კორონას წინააღმდეგ ფონდში ფულს რიცხავენ





მომღერლები თორნიკე ყიფიანი და ბარბარა სამხარაძე მზად არიან, კორონავირუსის წინააღმდეგ საბრძოლველად შექმნილ ფონდში თანხა გადარიცხონ.

„საქართველოს ვარსკვლავის“ მონაწილეებმა თავისი ინიციატივა ინტერნეტით გააჟღერეს.

**თორნიკე ყიფიანი:**

– „საქართველოს ვარსკვლავში“ გამარჯვების შედეგად, თბილისის ღია უნივერსიტეტმა გადმომცა 10.000-ლარიანი გრანტი, რისთვისაც კიდევ ერთხელ დიდ მადლობას ვუხდი მათ.

ჩემი თხოვნა და სურვილია, ეს გრანტი კოვიდ-19 ის საწინააღმდეგოდ შექმნილ ფონდს მოხმარდეს.

9 აპრილს გილოცავთ.

შეწირულთა სულებისთვის ვილოცოთ.

ჯანმრთელობას გისურვებთ.

დარჩი სახლში.

**ბარბარა სამხარაძე:**

– ეგ გრანტი, ჩაბარების შემთხვევაში, მხოლოდ სხვა კურსის გავლას აფინანსებს, როგორც ასეთი, რომელიმე სპეციალობა არ გვიფინანსდება. თუკი გადარიცხავენ, მეც თანახმა ვარ, ჩემიც გადარიცხონ.

## ბექა გოგინაშვილი კორონავირუსისგან განიკურნა



ოპერის მომღერალი ბექა გოგინაშვილი კორონავირუსისგან განიკურნა.

ინფორმაცია ამის შესახებ თავად გაავრცელა:

– კარგი ამბავი ისაა, რომ სიმპტომების გამოვლენიდან და დასრულებიდანაც, რადგან მხოლოდ ერთი ღამით გაგრძელდა, ორი კვირა გავიდა დღეს. მიუხედავად დადასტურებული კოვიდ-19 ვირუსის არსებობისა, ძალიან იოლ ფორმებში ჩაიარა ყველაფერმა. ექიმის სატელეფონო რჩევით შეგვიძლია ცხოვრების ჩვეულ რიტმს დავუბრუნდეთ.

ასე რომ, ნუ შეგეშინდებათ, დავიცვათ ყველამ ჰიგიენა და ინსტრუქცია, რასაც თითქმის ყოველდღე ყველა საინფორმაციო გადაცემა გადმოსცემს. თუ მაინც ვერ ავიცილებთ ვირუსთან პირისპირ შეყრას, პანიკის გარეშე გავუძლოთ ყველამ რამდენიმედღიან შემოტევას, სიმპტომები უმეტესად ინდივიდუალური სახით ვლინდება, ეს ვირუსი არ არის სასიკვდილო 96 პროცენტი დაავადებულებისთვის. გისურვებთ ჯანმრთელობას!

## ზურა ყიფშიძეს „მიდიოდა მატარებლის“ გამო რცხვენია



მსახიობმა ზურა ყიფშიძემ „სიცრუის დეტექტორში“ სტუმრობისას განაცხადა, რომ რეჟისორ გიორგი შენგელაიას ფილმის „მიდიოდა მატარებლის“ გამო რცხვენია:

– ფილმის „მიდიოდა მატარებელი“ გამო მრცხვენია. მარტო ჩემ გამო კი არ მრცხვენია, ყველას გამო მრცხვენია. რეჟისორისაც მრცხვენია და...

მითქვამს ეს მისთვის. არ მომწონს ასეთი ფილმები.

ადამიანმა, რომელმაც შექმნა ორი შედევრი – „ალავერდობა“ და „ფიროსმანი“, „ხარება და გოგიაც“ გადასარევია, „მაცი ხვიტიაც“, ეს ფილმი არ მომწონს, ჩემი ძაღლი თამაშობს იმ ფილმში ყველაზე კარგად.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## გურული სიმღერების უბადლო მცოდნე ჯემალ ნაკაშიძე გარდაიცვალა



გურული სიმღერების უბადლო მცოდნე და შემსრულებელი ჯემალ ნაკაშიძე გარდაიცვალა.

ინფორმაცია გიორგი უშიკიშვილმა გაავრცელა:

– ძალიან გულდასაწყვეტია, როდესაც დიდი ადამიანები მიდიან ამ ქვეყნიდან. ჯემალ ნაკაშიძე – ბრწყინვალე ქართველი, გურული სიმღერის უბადლო მცოდნე და შემსრულებელი.

ჩოხატაურლების ნამღერი გურული სიმღერა უნიკალურია. მარტო ბერძენიშვილები რომ გავიხსენოთ, მხოლოდ ეს იქნება საკმარისი უნიკალურობის დასადასტურებლად. რომ მირეკავდა სულ ასე მეუბნებოდა – ჯემალი ბიძია ვარ ჩემო გიორგი, ჯემალი ბიძია ამ დიდი ხალხის გზის გამგრძელებელი იყო და აი, ისიც წავიდა ამ ქვეყნიდან.

ძალიან დამწყდა გული. თან ვერ ჩავდივარ ამ სიტუაციის გამო. ვუსამძიმრებ ყველას, ჩოხატაურს, გურიას, მის მეგობრებს და ანსამბლის წევრებს. მადლობა ყველაფრისთვის ჩემო ჯემალი ბიძია.

## ასტროპროგნოზი



### 10 აპრილისთვის

**ვერძი** – პასიური დღეა. თუ სისუსტეს გამოიჩენთ, ეს თქვენს წარმატებაზე უთუოდ აისახება. ზედმეტი მზრუნველობა ახლობლებისადმი საჭირო არ არის. **კურო** – სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. ეს დღე თქვენი შემოქმედებითი აღმავლობის დასაწყისია. სისუსტეს ნუ გამოიჩენთ. **ტყუპები** – აგრესიულობა და ლიდერობისკენ სწრაფვა კოლეგებთან და ახლობლებთან ურთიერთობას გაგიფუჭებთ. ამას შესაძლოა ფინანსური დანაკარგებიც მოჰყვეს. **კირჩხიბი** – ძალზე იღბლიანი დღეა, განსაკუთრებით – საჯარო მოხელეთათვის. ექსპერიმენტებისგან თავი შეიკავეთ. **ლომი** – კომერციული ოპერაციები წარმატებით დაგვირგვინდება. გარისკეთ. არ ინანებთ. ეს ყველაფერი თქვენს შემოქმედებით ზრდასა და ავტორიტეტზე დადებით გავლენას მოახდენს. **ქალწული** – მშობლებისა და ბავშვების მიმართ მეტი ლოიალობა გამოიჩინეთ. ეს დღე ერთგვარი გამოცდა იქნება. **სასწორი** – მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდება. ერიდეთ უაზრო გარისკვასა და კომერციულ გარიგებებს. მოთმინება და თავშეკავება დღის დევიზია. **მორიელი** – დაისვენეთ და გაერთეთ მშვიდ გარემოში. საღამოს საინტერესო ახალ ამბავს გაიგებთ. **მშვილდოსანი** – დღის პირველი ნახევარი წარმატებული იქნება, თუ იმ საქმეს გააკეთებთ, რომელშიც კარგად ერკვევით. თავს ზედმეტად ნუ გადაიტვირთავთ. **თხის რქა** – ჯანმრთელობის მდგომარეობა სავსებით დამაკმაყოფილებელია, მაგრამ ნერვებს გაუფრთხილდით და ნუ გადაიღლებით. ეცადეთ, იყოთ დამოუკიდებელი და სიტუაცია თქვენ სასარგებლოდ მართოთ. **მერწყული** – ფინანსური ოპერაციები წარმატებით ჩაივლის. კომპრომისზე წასვლა დღეს აუცილებელია. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყაროც გაგიჩნდეთ. **თევზები** – თუ საჭიროდ მიიჩნევთ, ბოდიშიც მოიხადეთ. დათმობა, მიმტევებლობა, ლოიალობა დღის დევიზია.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი

**შვეულად**; 1. ყურძნის კრეფა; 2. ძილის მომგვრელი საშუალება; 3. პეპლების საჭერი ბადიანი მოწყობილობა; 5. პატარა კაფე-სასაუზმე გერმანიაში; 6. კახეთის სამეფოს დედაქალაქი; 7. დებულება, რომელსაც მტკიცება არ სჭირდება; 11. დროის მონაკვეთი კრივში; 13. კომპიუტერული თამაშების მოყვარული ადამიანი; 14. გარეგნული მომხიბვლელობა, ეშხი; 15. ჰოლანდიური ელექტროტექნიკური კომპანია; 16. საფრანგეთში მოღვაწე ქართველი კინორეჟისორი ქალი; 17. დიდი ქრისტიანული დღესასწაული; 19. სიგრძის მანძილის საზომი ერთეული ინგლისსა და აშშ-ში; 20. სუმოისტთა ტურნირი იაპონიაში.

**თარაზულად**: 1. ფლანდრიელი მხატვარი; 4. მუშაობის ენერგიის საზომი ერთეული ფიზიკაში; 8. მოცარული დარტყმა ბილიარდში; 9. კომბინაცია პოკერში; 10. მდინარე დასავლეთ საქართველოში; 12. მაბეზღარის, ჯაშუშის ძველი სახელწოდება; 14. დედალი ჯიხვი; 15. მეფის ან დედოფლის საყვარელი; 16. ძვირფასი ლითონის სუფთა წონა მონეტაში; 18. თეთრი ფერის ნახევრადტკბილი ქართული სამარკო ღვინო; 21. გადასატანი მიმღებ-გადამცემი რადიოსადგური; 22. იმერეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ჯიში; 23. ირლანდიის დედაქალაქი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

